ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 29 ივნისი, 2015

1149 (6769)

აფცბ5 №) სტსჰბ

## სანდრო თვალჭრელიძე: ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ირაკლი მანაგაძეს ვისურვებდი“

გვ.6



# დეპუტატები ერთსქესიანთა ქორწინებას თუ დააკანონებენ, ცოცხები არ ასცდებათ!“



გვ.3

## ელიზბარ ჯაველიძე: „ირაკლი ღარიბაშვილის იმედი მაქვს“

## ჯონდი ბაღათურია: თუ საჭირო გახდა, ხალხს ქუჩაში გამოვიყვანთ!“



## ნაციონალები სააკაშვილთან საქმის გასარჩევად წავიდნენ

ვინ დატოვებს პარტიას



ადეიშვილი და სააკაშვილი საუნაში ხიდაშელზე ჭორაობდნენ

გვ.4

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

# ყურადღება!

2015 წლის 1-ლი ივლისიდან ანალოგური საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობა ქვეყნის რეგიონების მიხედვით ეტაპობრივად გაითიშება.

1-ლ ივლისს, დილის 10 საათიდან თბილისში, საგარეჯოში, კოჯორში, მარნეულსა და რუსთავში, ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. ამასთან, გაითიშება გარდაბნის, მარნეულის, საგარეჯოს, მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები. სხვა რეგიონების გათიშვის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, ცხელი ხაზის (1480), პრესისა და ვებგვერდის www.digitaltv.ge-ს საშუალებით.



## მოსკოვიდან ვაშინგტონამდე ისლამისტებზე ყველა ფულს აკეთებს“

გვ.2

მამუკა არეშიძე: „რუსეთი შიიტებს ეხმარება, ამერიკა და არაბული ქვეყნები — სუნიტებს“

ISSN 1987-9385



## რა მიზანი აქვს ისლამურ სახელმწიფოს“ კავკასიაში?

გვ.2

# მოსკოვიდან ვაშინგტონამდე ისლამისტებზე ყველა ფულს აკეთებს“

## მამუკა არეშიძე: „რუსეთი შიიტებს ეხმარება, ამერიკა და არაბული ქვეყნები — სუნიტებს“

ნონა ცაბაძე

**ისლამური სახელმწიფოსგან მომდინარე საფრთხეებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე აფასებს.**

***— ბატონო მამუკა, დღეს აქტიურად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ სულ უფრო ახლოს მოდის ისლამური საფრთხე. ასეა?***

— შესაძლოა, ეს არ არის მყისიერი საფრთხე და დღეს არ მოხდება ტერაქტი და ხვალ არ მოხდება თავდასხმა რომელიმე ობიექტზე, თუმცა საფრთხე არსებობს. ჩვენ ასე ვმსჯელობთ უკვე ათ წელზე მეტია, რომ საქართველოს საფრთხე არ ემუქრება და, საბოლოო ჯამში, ის ძალები, რომელთაც საზოგადოებაში ვაჰაბიტებს ეძახიან, ძალიან გაძლიერდნენ და უფრო მეტი რეგიონი ჩაითრიეს საქართველოში, ვიდრე ეს იყო 10-15 წლის წინ. გარდა ამისა, ჩვენი საზღვრების მიმდებარე ტერიტორიაზე ისინი მეტ ძალასა და გავლენას იკრებენ. თუ ამ ყველაფერს ასე წავუყრუეთ, ერთ მშვენიერ დღეს ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. მომზადებაა საჭირო იმისთვის, რაც შეიძლება მოხდეს ხვალ. აი, ეს არის მთავარი.

***— რას გულისხმობთ მომზადებაში? რა უნდა გაკეთდეს?***

— ვგულისხმობ იმას, რომ საზოგადოებაც და ხელისუფლებაც მზად უნდა იყოს რისკებისა და საფრთხეების ლიკვიდაციისთვის. ჩვენ ერთხელ უკვე დავუშვით შეცდომა, როცა არაფრისთვის ვიყავით მზად, ლოზუნგებსა და ფსევდოპატრიოტულ თემებს გადავაყოლეთ საქართველო და დავკარგეთ ტერიტორიების 20%! ახლა მაინც მოვემზადოთ, რომ კიდევ მეტი არ დავკარგოთ! მე არაფერს განსაკუთრებულს არ ვამბობ, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ ქსელებს თუ შეხედავ, კატასტროფული მდგომარეობაა. ყველა პროფესორი გახდა დღეს პოლიტიკურ ისლამთან დაკავშირებით და ისეთი გულარხეინი დამოკიდებულებაა, რომ ნამდვილად არ არის მოსაწონი.

***— რეალურ საფრთხედ არ აღიქვამენ?***

— არ აღიქვამენ და ეს არის ქართული ხასიათი. არც რუსეთს აღიქვამდნენ საფრთხედ, იძახდნენ, 200 წელი ერთად ვიყავით, რუსეთმა ჩვენ რა უნდა გვიქნას და რით დამთავრდა, ყველამ ვნახეთ. არც ჩვენი მეზობლების პოლიტიკას აღიქვამენ რეალურ საფრთხედ, როგორ მიაქვთ ნაწილ-ნაწილ ჩვენი ტერიტორია, საქართველოს ხელისუფლებების პასიური ქცევის ფონზე. საზოგადოება ამ ყველაფერს მწვავე რეაგირებას არ აძლევს. გაცვივდებიან, ჩაატარებენ სადღაც აქციას და ამით მთავრდება.



***— არც მსოფლიო საზოგადოებაა დიდად შეშფოთებული ისლამური საფრთხით?***

— მსოფლიოში ის ადამიანები არიან შეშფოთებულნი, რომლებიც ამ უბედურებს ხვდებიან, ხოლო მსოფლიო პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილი დიდ ფულს აკეთებს ამ კონფლიქტზე და თავისი ინტერესის გატარებას ცდილობს.

***— რას გულისხმობთ?***

— მაგალითად, ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოდ იქცევა თურქეთი. ერთი მხრივ, ვითომ ებრძვის ამ ისლამურ ხალიფატს და, მეორე მხრივ, ყველანაირად ცდილობს, რომ თურქეთის წინააღმდეგობა არ გააძლიეროს ამ ისლამისტების წინააღმდეგ. მაგალითად, ქურთების მიერ კონტროლირებად ქალაქ კობანისში რომ მოხდა ისლამისტების თავდასხმა, ისლამისტების ერთი რაზმი თურქებმა თავიანთი ტერიტორიიდან გააპარეს. გარდა მაგისა, თურქეთში ხდება ზუსტად ამ მოხალისე ისლამისტების ჩასვლა სხვადასხვა ქვეყნიდან და იქიდან ძალიან მარტივად, ყოველგვარი პრობლემის გარეშე, 50 დოლარად ხდება გადასვლა. ასევე შეერთებული შტატები, რომელსაც არ უნდა, გაანაწყენოს თურქეთი და ამიტომ ერაყში მებრძოლ ქურთებს პასიურად ეხმარება.

***— შეერთებული შტატებიც?***

— დიახ, შტატებიც. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს, ამ საქმეში მეტი გააკეთოს, არის ირანი. დანარჩენები ყველანი თამაშობენ. სპარსეთის ყურის ყველა არაბული ქვეყანა, ერთი მხრივ, ისლამისტებს აფინანსებს, მეორე მხრივ, კოალიციის წევრები არიან და ბომბავენ ისლამისტების პოზიციას. მოკლედ, ყველა ფულს აკეთებს. გაქანებული ვაჭრობა მიმდინარეობს ბენზინით, ადამიანის ორგანოებით და ამაზე ყველაფერზე მსოფლიო თვალს ხუჭავს. იგივე ხდებოდა ბალკანეთში 90-იანების დასაწყისში და შემდეგ კინაღამ დაინგრა ევროპა ამ ბალკანური ომებისგან. ეს არის მსოფლიო პოლიტიკის რეალური სახე! ამაში ჩართულია ყველა მსხვილი მოთამაშე, მოსკოვიდან ვაშინგტონამდე!

***— რა მდგომარეობაა ჩვენთან? თუ ხდება კვლავაც მებრძოლების გადინება სირიაში?***

— ხდება, როგორ არ ხდება. უბრალოდ, იმ ინტესივობით არ არის. პრევენციული ღონისძიება მიღებულია თვითონ აჭარაში, მაგრამ არ ვიცით, ქართლში რა ხდება, რადგან ქართლიდან წასული ახალგაზრდების ერთი ნაწილი რომ გგონია, აზერბაიჯანშია დასაქმებული, უცებ სირიაშია.

***— ვერ აკონტროლებენ?***

— ძალიან რთულია ამის კონტროლი. ვერ გააკონტროლებ. ზრდასრული ადამიანი, საქართველოს აზერბაიჯანელი მოქალაქე, მიდის საზღვარზე, წითელ ხიდთან, აზერბაიჯანში სამუშაოდ, როგორ გააჩერებ? იქიდან მოხვდება სამხრეთი რუსეთის რომელიღაც ტერიტორიაზე. პირდაპირი რეისებია მახაჩყალიდან სტამბოლში. რომ ჩახვალ სტამბოლში, ჩაჯდები ავტობუსში, ოთხ საათს იმგზავრებ და მოხვდები ქალაქ გაზიანთებში. ეს არის თურქეთის ქურთისტანი. იქიდან საზღვრამდე რამდენიმე ათეული კილომეტრია. შემდეგ იქ ელოდებიან ე.წ. გამყოლები, მათ 200-300 დოლარს გადაუხდი და პირდაპირ მოხვდები სირიის საზღვარზე. მოკლედ, პოლიტტურისტული ბიზნესია.

***— ამ წამსვლელების მოტივაცია არ არის ფული?***

— ფული როგორ არ არის. ახლა უკვე ფულიც გახდა, იმიტომ, რომ განსაკუთრებით სპეციალისტებს, ვინც იცის საბრძოლო საქმე, დიდ ხელფასს უხდიან. ვინც არ იცის და მოხალისედ მიდის, იმათ ბევრად ნაკლებს უხდიან. თუმცა ახლა უკეთესი პირობები შეექმნათ. მარტო ბენზინით ვაჭრობით ისლამური სახელმწიფო შოულობს თვეში 100 მილიონ დოლარს. ეს წელიწადში მილიარდი დოლარია. ასევე ვაჭრობენ კულტურული ძეგლებით. მართლა კი არ ანადგურებენ, როგორც ამას ტელევიზიით აჩვენებენ. ეს დასანახად ხდება. სინამდვილეში ყველაფერს ყიდიან, ამ უნიკალურ ნივთებს, ძველი საბერძნეთის, ძველი შუამდინარეთის, ძველი ბაბილონის უნიკალურ ისტორიულ ნივთებს ყიდიან და ამას ყიდულობენ ისევ დასავლური მუზეუმები და კერძო კოლექციონერები. რომ ჰკითხო, რად გინდაო, გეტყვიან, რომ განადგურებას გადაარჩინეს. სინამდვილეში, ეს ხომ ტრადიციული ორპირობაა, როგორც სჩვევიათ საერთოდ.

***— მოსკოვიდან ვაშინგტონამდე ყველა ჩართულიაო, ბრძანეთ და ამაში საფრთხეს ვერ ხედავენ?***

— იმდენად ძლიერი ჰგონიათ თავი, ფიქრობენ, რომ ამ პროცესს მაშინ შეაჩერებენ, როცა დასჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ტერიტორიაზეც ხდება ეს შეტევები, ეს პირადად კონკრეტულ პოლიტიკოსებსა და მათ ოჯახებს არ ეხება. მათ შექმნეს ფონი, რომ საჭიროა ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლა, დარაზმეს ამის წინააღმდეგ საზოგადოებები, თვითონ კი ხელს ითბობენ ამ სიტუაციით! მარტივად რომ ვთქვათ, შიიტურ სამყაროს დღეს ეხმარება რუსეთი, სუნიტურ სამყაროს ეხმარებიან ამერიკა და არაბული ქვეყნები. ვისაც როგორ სჭირდება, სიტუაციიდან გამომდინარე, ისე იყენებს ამ რელიგიურ ფაქტორს.

***— და ამ დროს საფრთხე რეალურია?***

— საფრთხე ძალიან მაღალი დონის არის! ჩვენნაირი დაუცველი და სუსტი ქვეყნისთვის, რომელსაც საზღვრებიც კი არ აქვს დემარკირებული, ძალიან არამყარი მდგომარეობაა, მით უმეტეს, როდესაც ჩვენს სპეცსამსახურებში არის კატასტროფული ნაკლებობა შესაბამისი პროფილის მცოდნე პირებისა. პოლიტიკურ ელიტაში ზოგადად ამ საფრთხის თაობაზე ესმით, მაგრამ კონკრეტულად არაფერი კეთდება.

***— ჩვენს ქვეყანაშიც იქმნება ისლამისტური მოძრაობები?***

— იქმნება, როგორ არ იქმნება. სოკოებივით გაიზარდა ამათი რაოდენობა. ასევე გაიზარდა იმ ორგანიზაციების რაოდენობაც, რომლებიც უცხოეთიდან მათ ეხმარებიან. ვხედავ ამ ყველაფერს, მაგრამ რა ვქნა? ვცდილობ, თქვენი მეშვეობით გავაგებინო ქვეყანას.

# რა მიზანი აქვს ისლამურ სახელმწიფოს“ კავკასიაში?

მარიამ მჭედლიშვილი

**ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი ვილაიეთის დაარსების შესახებ „ახალი თაობა“ უკვე წერდა. ამას წინ უძღოდა სხვა ტერორისტული ორგანიზაციის, იმარატ კავკასიის მებრძოლების ფიცი ხალიფად გამოცხადებული აბუ-ბაქარ ალ ბაღდადის მიმართ.**

საქართველოს ძალოვნებმა საფრთხე აღიარეს და განაცხადეს, რომ ქვეყნის უსაფრთხოებას დაიცავენ.

ხალიფატისადმი ფიცი ყველა იმარატელს არ დაუდია. კავკასიური იმარატის ლიდერმა, მუხამად სულეიმანოვმა, ასევე გავლენიანმა მებრძოლებმა ზალიმ შეხბუზოვმა და ასლამბეკ ვადალოვმა ამაზე საერთოდ არ მოახდინეს რეაგირება.

ხალიფასადმი ერთგულების შეფიცვა ჩრდილოკავკასიელებისაგან პირველად არ ხდება. ასეთი რამ რვა თვის წინაც მოხდა, ოღონდ მაშინ ამას არ მოჰყოლია „ისლამური სახელმწიფოს“ კავკასიური პროვინციის შექმნა.

ამ დღეების ხალიფატის სასტიკი აქტივობები კავკასიას არ უკავშირდება. დაჯგუფებამ იკისრა პასუხისმგებლობა ტუნისში მომხდარ ტერაქტზე, რომელსაც 40 ადამიანი ემსხვერპლა. ხალიფატის მოჯაჰედი ქალაქ სუსთან თავს დაესხა სასტუმრო „იმპერიალის“ პლაჟს.

— ჩვენი ძმა და ხალიფატის ჯარისკაცი თავს დაესხა ოტელ „იმპერიალს“, უსაფრთხოების ზომების მიუხედავად, — აღიარეს ისლამისტებმა.

მანამდე ხალიფატის მებრძოლებმა აიღეს პასუხისმგებლობა კუვეიტში მეჩეთის აფეთქებაზე. ტერაქტი საფრანგეთშიც მოხდა.

ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი ირწმუნება, რომ საფრთხეს აცნობიერებს. ამასთან, ის ბლეფს უწოდებს ფიცის დადებას და აღნიშნავს, რომ ჩეჩნეთში ტერორისტებს არაფერი გამოუვათ:

— არა მგონია, რომ ცალკეული გაუპარსავი ბანდიტები, რომლებიც ტყეებში იმალებიან, სერიოზულ დახმარებას გაუწევენ რადიკალებს. ამ გარეწრებს არანაირი შანსები არა აქვთ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. ჩვენთან სიტუაციას სრულად აკონტროლებენ ძალოვანი სტრუქტურები, ხოლო მშვიდობიანი ცხოვრების კურსს მხარს უჭერს მოსახლეობის 99, 9 პროცენტი.

ჩეჩნეთის ძალოვნები გულხელდაკრეფილი მართლაც არ სხედან. სხვა საქმეა, არღვევენ თუ არა ისინი ადამიანის უფლებებს.



ჩეჩენმა პოლიციელებმა ახლობლებს არ გადასცეს მათ მიერ დახოცილი მანსურ უსმანოვისა და ბისლან ბაიდულაევის ცხედრები. ამ დღეებში გროზნოში დახოცილი ორი პირის ცხედარს უსახელო სასაფლაოზე ახლობლების გარეშე დაკრძალავენ. მათ ტერაქტებში მონაწილეობა ედებათ ბრალად. ოფიციალური ვერსიით, ძალოვნებს ცეცხლი პირველებმა უსმანოვმა და ბაიდულაევმა გაუხსნეს, რასაც ორი მათგანის დაჭრა მოჰყვა. მოკლულები ტაგილოვის დაჯგუფებას მიეკუთვნებოდნენ, ტაგილოვი კი ასლან ბატიუკაევის დაქვემდებარებაშია. ასლან ბატიუკაევი ის „ბოევიკია“, რომელმაც ხალიფას ერთგულება მთელი ჩეჩენი მებრძოლების სახელით შეჰფიცა, თუმცა სხვები მის მოქმედებებს არ ეთანხმებიან.

ადგილობრივმა მოჯაჰედებმა რამზან კადიროვს მოსვენება განსაკუთრებით დეკემბერში დაუკარგეს. 4 დეკემბერს იატაკქვეშეთიდან გამოსულმა მებრძოლებმა ღია შტურმი დაიწყეს გროზნოს სამართალდამცავ უწყებებზე. ამის გამო შეტაკებები მოხდა. დაიღუპა 14 ძალოვანი, 11 „ბოევიკი“ და 2 მშვიდობიანი მოქალაქე. მანამდე, ოქტომბერში, 19 წლის თვითმკვლელმა ტერორისტმა მუდაროვმა გროზნოში თავი პოლიციელებთან ერთად აიფეთქა. კადიროვის ხელისუფლებამ ამის გამო თვითმკვლელის დედა, და და ბიძა დააკავა. კარგი დღე არც იმ ტერორისტების ახლობლებს დაადგათ, რომლებმაც დეკემბერში წამოიწყეს ოპერაცია. ძალოვნებმა ბევრი მათგანის სახლ-კარიც გადაწვეს.

ძნელი სათქმელია, როგორ შეებრძოლება კადიროვი „ისლამურ სახელმწიფოს“, რომელსაც მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად მასზე სასტიკი მეთოდები აქვს არჩეული. საერთოდ, ახალ ხალიფატს მთავარ მიზნად მხოლოდ შარიათის წესების განხორციელება არ აქვს. ამ დაჯგუფებამ იტვირთა ხალიფატის საზღვრების აღდგენა და ცხოვრების ორგანიზება მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. ამისათვის მას ბარბაროსული მეთოდები აქვს არჩეული.

ხალიფატი თავის საზღვრებში მოიაზრებს კავკასიას, მთელ ახლო აღმოსავლეთს, მთელ ჩრდილოეთ აფრიკას, ცენტრალური აფრიკის ნახევარს, ინდოეთს, მალაიზიას, ინდონეზიას, სინგაპურს.

„ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოს პრობლემაა, ჩრდილოეთ კავკასიაში მისი ვილაიეთის შექმნის შემდეგ კი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საფრთხე გახდა.

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ჯონდი ბაღათურია: თუ საჭირო გახდა, ხალხს ქუჩაში გამოვიყვანთ!“

## „ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას უარყოფითად ვაფასებ“

ნონა ცაბაძე

გასული კვირის ბოლოს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ 1 ხმის უპირატესობით (5 მომხრე, 4 — წინააღმდეგი) დაადგინა, რომ ერთსქესიანთა ქორწინების რეგისტრაცია ქვეყნის კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება. ეს აქტი აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ნიშნავს. ამას მსოფლიოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გამონაკლისი არც ქართველი საზოგადოება ყოფილა. ბევრი შიშობს, რომ ამ ნორმას აუცილებლად მოგვახვევენ თავზე. თუმცა, ასევე მოვისმინეთ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, მანანა კობახიძის განცხადება, სრულიად მარტო რომ დარჩეს საქართველო, ამას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს.

„ახალი თაობა“ ამ და სხვა თემებთან დაკავშირებით „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიას ესაუბრა.

***— ბატონო ჯონდი, ამერიკის სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენს საზოგადოებაშიც. სოციალურ ქსელებში დიდი აქტიურობაა. რას ფიქრობთ თქვენ?***

— მე, რასაკვირველია, უარყოფითად ვაფასებ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. ჩემი პოზიცია არ შეცვლილა და არ შეიცვლება არასდროს! ასე ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის 99%.

***— დარწმუნებული ხართ?***

— რასაკვირველია! ამერიკამ რა დააკანონა, ეს ამერიკის საქმეა. თუმცა ამის შემდგომ განცხადებას, რომ ისინი დაიწყებენ ლობირებას მთელ მსოფლიოში ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონებისთვის, ძალიან უარყოფითად ვუყურებ და მივიჩნევ ჩვენს საქმეებში ჩარევად. ჩვენ ხომ არ ვერევით მათ საქმეებში? ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს უარყოფითი მოვლენაა. ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსიც მიიჩნევს, რომ ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება. დაგვღალა ჩვენ ამ უფროსი ძმების კარნახმა. არავისგან გვჭირდება იმის კარნახი, თუ როგორ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის კულტურული, სოციალური და, მით უმეტეს, რელიგიური ცხოვრება. ჩვენ შეგვეშვან და, თვითონ როგორ მოიქცევიან, ეს მათი უფლებაა!

***— კულუარულად ვრცელდება ინფორმაციები, რომ ჩვენთანაც შეიტანენ პარლამენტში ამ ინიციატივას. ეს რეალურად გეჩვენებათ?***

— ჯო ბაიდენის განცხადება და ის, რომ ობამამ შეკრიბა დიპლომატიური კორპუსი და დაავალა, ეს ხაზი გატარდეს მთელ მსოფლიოში, იმას ნიშნავს, რომ ზეწოლა სხვადასხვა ქვეყნებისა და ჩვენს მარიონეტულ ხელისუფლებაზე გაძლიერდება. ასევე გაიზრდება ამ ლგბტ საზოგადოების დაფინანსებაც. შესაბამისად, ჩვენ ეკრანზე ვიხილავთ მეტ გულისამაჩუყებელ სიუჟეტს, თუ როგორ იჩაგრებიან საქართველოში ლესბოსელები, გეები, ტრანსსექსუალები და სხვა ასეთი ფსიქოლოგიური პათოლოგიის მქონე ადამიანები.

***— ამას პათოლოგიად მიიჩნევთ?***

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის პათოლოგია. არ დავუშვებთ, რომ მსგავსი რამ საქართველოში განხორციელდეს!

***— სხვა თემაზე გადავიდეთ. საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ ვერეს ხეობაში სოლიდარობის პარკის ნაცვლად ქართული მანჰეტენი აშენდება.***



***ასე უცებ დააგიწყდა ხელისუფლებას, რაც ამ ხეობაში მოხდა?***

— ჩვენი ხელისუფლება ღრუბლებში დაფრინავს, თვითონაც ფანტაზიებით იკვებება და ხალხსაც ამით კვებავს. ამ ხელისუფლებამ სრული უუნარობა გამოიჩინა ქვეყნის მართვის ყველა ასპექტში. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალია არსებული უუნარო, მარიონეტული ხელისუფლების ცვლილება! ჩვენ გვინდა, რომ ეს ცვლილება მოხდეს მშვიდობიანად, არჩევნების გზით.

***— დარწმუნებული ხართ, რომ არჩევნების გზით შეცვლით ხელისუფლებას?***

— არა, რადგან ისეთი საარჩევნო სისტემა გვაქვს, რომელიც არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებას, თუკი რამდენიმე მილიარდი არ დახარჯე, გამორიცხავს. თუმცა ასევე არსებობს ხელისუფლების ცვლილების კიდევ სხვა გზა, გარდა არჩევნებისა.

***— რომელი გზაა, თუკი მშვიდობიანზე საუბრობთ?***

— არსებობს ასევე კანონიერი და კონსტიტუციური გზა. ეს არის ხალხის ქუჩაში გამოსვლა და ხალხის მოთხოვნით ხელისუფლების გადაყენება. მე მშვიდობიან გამოსვლას ვგულისხმობ. როცა ხალხი ხედავს, რომ ხელისუფლება უუნაროა, იღებს მმართველობას თავის თავზე.

***— ანუ ქუჩაში გამოსვლას გეგმავთ?***

— რაც დაგვჭირდება, ყველაფერს გავაკეთებთ! ყველაფერი კი იქნება კონსტიტუციურ ჩარჩოებში. ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ქუჩაში აქტივობა დაგვჭირდეს. ყველა ხელისუფლება, რომლებიც აქამდე გვყოლია, როდესაც მოდის ხელისუფლებაში, მერე უკვე ამის შენარჩუნებას ხალხის მხარდაჭერის გარეშე ცდილობს და ამისთვის სხვადასხვა მეთოდს იყენებს. მათი მთავარი ინსტრუმენტი კი ყოველთვის არის მახინჯი საარჩევნო სისტემა, რომელიც იძლევა არჩევნებში ხალხის მხარდაჭერის გარეშე ძალაუფლების შენარჩუნების საშუალებას. ამიტომ ბრძოლა საარჩევნო სისტემის ცვლილებისთვის უნდა გაგრძელდეს და, თუკი საჭირო გახდება, ხალხი უნდა გამოვიყვანოთ ქუჩაში! ამ ხელისუფლებამ მხოლოდ ერთი და განსაკუთრებული ნიჭი გამოავლინა. ეს არის პირადი კეთილდღეობის მოწყობა, ჯიპები და პრემიები. მხოლოდ ამის ნიჭი აღმოაჩნდათ!

# დეპუტატები ერთსქესიანთა ქორწინებას თუ დააკანონებენ, ცოცხები არ ასცდებათ!“

## ელიზბარ ჯაველიძე: „ირაკლი ღარიბაშვილის იმედი მაქვს“

შორენა მარსაგიშვილი

აპრილის დასაწყისში „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა შედიოდა, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ისახავდა მიზნად. არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ლიდერმა ლადო სადღობელაშვილმა გვითხრა, რომ ამ თემაზე დეპუტატები ზაფხულში დაიწყებდნენ საუბარს.

უფრო ადრე ეს ინფორმაცია აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ გააჟღერა. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ მან განაცხადა, რომ ცოტა ხანში პარლამენტი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე დაიწყებდა საუბარს.

რა გავლენას იქონიებს აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ქართველ დეპუტატებზე, რა ელოდებათ ამ კანონის მიღების შემთხვევაში დეპუტატებს? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ელიზბარ ჯაველიძე ესაუბრება.

**ელიზბარ ჯაველიძე:**

— ამერიკის ყველა შტატში ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონეს. გვაჩვენებენ, რომ ამას მთელი ქვეყანა დიდი ზეიმით შეხვდა. ასე არ არის საქმე. როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა განაცხადა, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ამერიკელი სასულიერო პირები დიდ შეცდომად მიიჩნევენ. ამას დიდ შეცდომად მიიჩნევს ჩვენი ეკლესიაც.

***— ეკლესია, შესაძლოა, შეცდომად მიიჩნევს, მაგრამ დაკანონებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს. თქვენი აზრით, გამოჩნდებიან პარლამენტში ისეთი დეპუტატები, რომლებიც ამ ტიპის კანონს მოამზადებენ?***

— როგორ არ გამოჩნდებიან. პარლამენტში ბევრი ისეთი ადამიანი ზის, რომლებიც ამ კანონს სიხარულით დაუჭერს მხარს, მაგრამ მეეჭვება, ამის მიღება გაბედონ. აშშ-ის პირველი პირები აცხადებენ, ერთსქესიანთა ქორწინება მთელ მსოფლიოში უნდა დაკანონდესო. ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებენ, მაგრამ არ გამოუვათ. ამის დაკანონება იქნება მსოფლიოს წარღვნა და წალეკვა.

აშშ-ს თავი, როგორც მსოფლიო პოლიტიკის გამგებელს, ისე მოაქვს. ახლა უკვე ყველას პირად ცხოვრებაში ერევიან. იმდენად გათავხედდნენ, რომ ფეხბურთშიც კი ჩაერივნენ. როგორც ცნობილია, გამოძიების ფედერალური ბიურო ფიფათი დაინტერესდა. რა ესაქმებათ მაგათ ფეხბურთში, იციან საერთოდ, რა არის ფეხბურთი? არ იციან, მაგრამ ერევიან.

ამ ქვეყანას სურს, მთელ მსოფლიოს თავს მოახვიოს თავისი ცხოვრების წესი. ჯერ კიდევ როდის აცხადებდნენ, რომ არსებობს ფასეულობები, რომლებიც ყველამ უნდა გაითავისოს. ყველა უბედურება და სიბინძურე აქედან მოდის. ჩვენ ეს ქვეყანა მეგობრად გვყავს გამოცხადებული, ზოგიერთისთვის კი აშშ საერთოდ იდეალია. დღეს საქართველო არის არათუ შტატი ამერიკისა, არამედ შტატის უბანია.

***— თუ საქართველო შტატიც კი არ არის და მხოლოდ ერთ-ერთი უბანია, გამოდის, რომ ჩვენი პარლამენტიც მიიღებს ამ კანონს. ჩვენ ხომ ამერიკის ყველა მოთხოვნას ვასრულებთ.***

— ყველა მოთხოვნას რომ ვასრულებთ, ეგ დაგვღუპავს სწორედ. ამ მოთხოვნასაც შეუსრულებდნენ, მაგრამ ხალხის რისხვის ეშინიათ. მხარდამჭერები ამ კანონს ჰყავს, მაგრამ მის მიღებას ვერ გაბედავენ.

***— რატომ გგონიათ, რომ ვერ გაბედავენ? ანტიდისკრიმინაციულ კანონზეც ასე ეგონათ, მაგრამ ერთხმად დაუჭირეს დეპუტატებმა მას მხარი.***

— ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებაც დაუშვებელი იყო. როცა ეს კანონი მიიღეს, მაშინ გითხარით ჟურნალისტებს, რომ შემდეგი კანონი, რომელიც პარლამენტში შევიდოდა, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება იქნებოდა. ანტიდისკრიმინაციული მხოლოდ კბილის მოსინჯვა იყო.

***— ანტიდისკრიმინაციული უპრობლემოდ მიიღეს....***

— ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება ასე მარტივი არ იქნება. აბა, გაბედონ და მიიღონ ეს კანონი, ნახავენ, რა დღეც დაადგებათ.

***— რა დღე უნდა დაადგეთ?***

— ქართველი ხალხი გადაუვლის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იმ ცოცხებით გამოყრიან პარლამენტიდან, რომლებითაც ნაციონალები ადამიანებს აუპატიურებდნენ. ამ კანონის ინიციატორი ფეხებით უნდა დაკიდო ალვის ხეზე, გვერდით კი ის დეპუტატები უნდა ჩამოუკიდო, რომლებიც ამ კანონს მხარს უჭერენ.

***— ამ განცხადების გამო სიძულვილის ენის გამოყენებას დაგდებენ ბრალად.***

— მაგას ხომ ისედაც მაბრალებენ. ეს არის გაბრაზებული კაცის პოზიცია და, რაც უნდათ, ის დამაბრალონ. ამ თემაზე რომ დაიწყება საუბარი, სიძულვილის კი არა, ზიზღის ენით მოვიხსენიებ კანონის მხარდამჭერებს. მერე წავიდნენ და, სადაც უნდათ, იქ მიჩივლონ. მე არავის ვერჩი და არც არავის უფლებებს ვზღუდავ. მათაც კეთილი ინებონ და მათქმევინონ ჩემი მოსაზრება. მე არაფრით დავუშვებ ამ კანონის ამოქმედებას. საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ასეა განწყობილი. ამათ რომ ყური ვუგდო, გამოდის, ჩემი შვილიშვილი 14 წლის რომ გახდება, უნდა ვკითხო, ბიჭია თუ გოგო. ასეთი კითხვა რომ დავუსვა, ხომ იფიქრებენ, ეს კაცი გადარეულაო და მართლებიც იქნებიან.

ვაფრთხილებ ხელისუფლებას, არც კი გაბედონ ამ კანონის განხილვა, თორემ ძალიან ცუდ პასუხს მიიღებენ ხალხისგან. მან ისედაც ბევრი რამ მოგითმინათ და ამას უკვე აღარავინ გაპატიებთ.

***— ჩვენს ხალხს ბევრი რამის პატიება შეუძლია და იქნებ ამასაც გაგებით მოეკიდოს.***

— გამორიცხულია, ამას საქართველო გაგებით ვერ მოეკიდება. რესპუბლიკელები, ნაციონალები და ალასანიას ხალხი ტაშსაც დაუკრავენ, მაგრამ სხვები — არა.

***— ხელისუფლებაში, რესპუბლიკელების გარდა, ამ კანონს სხვები მხარს არ დაუჭერენ?***

— არა მგონია. ამის გაკეთება სარისკო იქნება. მათი სახელები ისტორიაში შევა, როგორც სამარცხვინო.

***— აშშ-მ დაჟინებით თუ მოითხოვა, მაშინ რა მოხდება?***

— აშშ-მ ამდენი ვერ უნდა გაგვიბედოს. თუ გაბედავენ, ეს საქართველოში ანტიამერიკულ განწყობას გააძლიერებს. თეთრ სახლს გადაწყვეტილი აქვს, ერთსქესიანთა ქორწინება მთელ მსოფლიოში დააკანონოს. ევროპაში უკვე დაიწყეს ამის გატარება. ერთ რამეს ვიტყვი და არ წამიშალოთ — ამ ამერიკამ ევროპა საკუთარ ქვეშაგებად აქცია, სადაც მთელ კაცობრიობას აუპატიურებენ.

ამერიკას დიდი გავლენა აქვს მსოფლიოზე და შეეცდება, ეს ყველგან გაატაროს, მაგრამ ასე მარტივად არ გამოვა ეს საქმე. მას სერიოზული მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ. ერთადერთი, რუსეთი წავიდა ამის ღია წინააღმდეგი. ასევე მოიქცევა ჩინეთიც. ერთიც და მეორეც სერიოზული ძალაა.

***— რუსეთი წავიდა წინააღმდეგიო, ამბობთ. ეს ამბავი პრორუსულობის იარლიყის მისაწებებლად კარგი იქნება. ვინც ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგი წავა, იმას კრემლის აგენტობას დააბრალებენ.***



— აგენტობა, მათ შორის კრემლისაც, თავისკენ მოიკითხონ. რუსეთს სტრატეგიული ობიექტები მაგათ ჩაუგდეს ხელში და ვინ არის კიდევ აგენტი? აგენტი აგენტია და მნიშვნელობა არა აქვს, ის რუსეთის იქნება თუ აშშ-ის. რაც უნდა იძახონ, არაფერი გამოვა. ამის იმედს ირაკლი ღარიბაშვილი მაძლევს.

***— ღარიბაშვილი რატომ გეიმედებათ?***

— არაერთხელ მითქვამს, რომ ამ ახალგაზრდა კაცს გული ქართულად უძგერს. მან გასაგებად და მკაფიოდ თქვა, რომ ქორწინება არის ქალისა და კაცის ერთობა. სანამ ღარიბაშვილია პრემიერი, მისი იმედი მაქვს. ამ ამბავში მას მთელი საქართველო გვერდით დაუდგება. მის შეცვლას ვიღაცები ცდილობენ, მაგრამ არ გამოვა.

***— ვინ ცდილობს მის შეცვლას?***

— ვინ და დასავლეთი. როცა დაინახეს, რომ ეს კაცი ეროვნულად აზროვნებდა და მათი დაკვეთების შესრულებაზე უარს ამბობდა, სხვანაირად დაიწყეს მოქმედება. ცოტა ხნის წინ ევროპელებმა მრჩეველი გამოუგზავნეს. იმედი აქვთ, მის ჭკუაზე ივლის ჩვენი პრემიერი. აღარაფერს ვამბობ ნორლანდზე, დღითიდღე ცეკას პარტკომს რომ ემსგავსება. ვადა ეწურება და იმას ფიქრობს, რა უბედურება დაგვმართოს. წასვლამდე ერთი სენი უკვე შეგვყარა.

***— რა სენი?***

— რესპუბლიკელები რომ წამოაყელყელავა. მაგის მოთხოვნით არ დანიშნეს თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად?! ახლა კი ხმებს ავრცელებენ, მისი ქმარი, უსუფაშვილი, უნდა გახდეს პრემიერიო. ამის უკან სულ ეგ ინსტრუქტორი ნორლანდი დგას. ერთსქესიანთა ქორწინებასთან დაკავშირებითაც მისცემს ჩვენს პოლიტიკოსებს რეკომენდაციებს. კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ დეპუტატებს, არ გაბედონ ამ კანონის მიღება, თორემ ცოცხები არ ასცდებათ!

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

[illegible]

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნაციონალები სააკაშვილთან საქმის გასარჩევად წავიდნენ

## ვინ დატოვებს პარტიას

შორენა მარსაგიშვილი




### სააკაშვილი და ადეიშვილი საუნაში ხიდაშელზე ჭორაობდნენ

ნაციონალურ მოძრაობაში კვლავ დაპირისპირებაა. ბელადის გარეშე დარჩენილი და რამდენიმე ფრთად დაყოფილი პარტია საერთო ენის გამონახვას ვეღარ ახერხებს. გავრცელებული ინფორმაციით, ახლო მომავალში ნაცმოძრაობას კიდევ რამდენიმე პიროვნება დატოვებს. ჯერ უცნობია, შეუერთდებიან თუ არა ისინი პარტიიდან წასულ ოთხეულს.

ოდესაში საქმის გასარჩევად ნაციონალების საკმაოდ დიდი ამალა წავიდა. სააკაშვილს ზღვისპირა ქალაქში ჩააკითხეს მიხეილ მაჭავარიანმა, ირმა ნადირაშვილმა, გიორგი ბარამიძემ, ნუგზარ წიკლაურმა, ზაზა ბიბილაშვილმა, სერგო რატიანმა....

ეს უკანასკნელი ნაცმოძიდან წასასვლელი ხალხის სიაში იყო შეყვანილი. როგორც ამბობენ, ზურაბ ჯაფარიძის ოთხეულთან ერთად ისიც აპირებდა პარტიიდან წასვლას, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში გადაიფიქრა ან გადააფიქრებინეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ კვირაში პარტიიდან გამიჯვნას გიორგი ვაშაძის ფრთაც აპირებს. გასულ კვირას პორტალი ნს-პ.გე სანდო წყაროზე დაყრდნობით წერდა, რომ ვაშაძე ან ნაბიჯს აუცილებლად გადადგამს. ამას ნაცმოძრაობა თითქმის შეგუებულია.

გიორგი ვაშაძე პარტიაში ერთ-ერთ ყველაზე ნათელ სახედ ითვლება. მისი სახელი გახმაურებულ დანაშაულებს არ უკავშირდება. არც ქონების წართმევასა და წამებას სდებს ვინმე ბრალად. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ნაციონალებს მისი პარტიიდან გაშვება არ სურთ.

ზურაბ ჯაფარიძეს პარტიაში აღმასრულებელი მდივნის პოსტი ეკავა. ნაცმოძმა ეს პოსტი ახლა ვაშაძეს გადააბარა. გავრცელებული ინფორმაციით, ვაშაძეს თანამდებობა იმიტომ შესთავაზეს, რომ პარტიაში დარჩეს.

ნაცმოძრაობა პარტიაში არსებულ ყოველგვარ დაპირისპირებას კატეგორიულად უარყოფს. მათ თუ დავუჯერებთ, ოდესაში სააკაშვილთან საქართველოში შექმნილ ვითარებაზე სასაუბროდ მიდიან.

არადა, ექსპრეზიდენტმა მათ გარეშეც მშვენივრად იცის, რა ხდება ქვეყანაში. ის ძალიან ხშირად ესაუბრება თანაპარტიელებს სკაიპის მეშვეობით. ეს საუბრები ხშირად კონფლიქტით მთავრდება ხოლმე.

ნაპრეზიდენტალს ყველაზე მეტად გიგა ბოკერია უშლის ნერვებს. სხვებისგან განსხვავებით, ის სააკაშვილს ყოველთვის პირში ეუბნება სათქმელს და არც მისი საწინააღმდეგო პოზიციის დაფიქსირებისა ერიდება. სხვათა შორის, ეს მაშინაც ასე იყო, როცა სააკაშვილს პრეზიდენტის პოსტი ეკავა და მასთან შეკამათებასაც კი ვერავინ ბედავდა.

ოდესაში წასული ნაციონალები სამშობლოში 2 დღეში დაბრუნდებიან. როგორც მიხეილ მაჭავარიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ 2 დღის განმავლობაში ისინი სააკაშვილს საქართველოში შექმნილ ვითარებაზე მოუთხრობენ, მისგან კი უკრაინის ამბებს მოისმ**ენენ.**

**მიხეილ მაჭავარიანი:**

— ვაპირებთ, შევხვდეთ მიხეილ სააკაშვილს. ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ეს არის, რომ სააკაშვილს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაცია მივაწოდოთ, ასევე გავეცნოთ უკრაინაში არსებულ ვითარებას. ეს ჩვეულებრივი შეხვედრაა. ახლა, ვინაიდან სესია მთავრდებოდა, დავგეგმეთ, რომ ვისაც ექნებოდა სურვილი, წამოსულიყო უკრაინაში. გვაინტერესებს, როგორ მიდის უკრაინაში პროცესები. მოგეხსენებათ, მიხეილ სააკაშვილის ოდესის გუბერნატორად დაინიშნა. ასევე ჩვენი თანაგუნდელები სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობენ იქ. გვაინტერესებს, როგორ მიდის რეფორმები და თუ არის საჭირო ჩვენი დახმარება. ჩვენ გვჭირდება ძლიერი უკრაინა, როგორც უკრაინას სჭირდება ძლიერი საქართველო. ეს არ იქნება ორგანიზებული შეხვედრა. ვისაც გვაქვს საშუალება, ვყიდულობთ ბილეთებს და მივდივართ.

◆ ◆ ◆

ამ შეხვედრაზე, ალბათ, ბევრი რამე გადაწყდება. შესაბამისად, ძალიან საინტერესო იქნება შეხვედრის დეტალების გაგება.

ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიცია თუ გაგრძელდა, უკრაინულმა მედიამ, შესაძლოა, მათი შეხვედრის ჩანაწერიც გამოაქვეყნოს.

ცოტა ხნის წინ კიევს საქართველოს პარლამენტის დელეგაცია სტუმრობდა. კიევში ვიზიტად მყოფი უსუფაშვილ-ხიდაშელის წყვილი ნაპრეზიდენტალს შეხვდა. თინა მაშინ ჯერ ისევ დეპუტატი იყო, მიხეილი — პოროშენკოს მრჩეველი. ამ შეხვედრის დეტალები უკრაინულ პრესაში გამოქვეყნდა. ვიღაცამ მათი საუბარი ჩაიწერა.

მორიგი ჩანაწერი უკრაინელებმა 14 ივნისს გამოაქვეყნეს. იქ სააკაშვილი და ზურაბ ადეიშვილი საუბრობენ. მათი საუბრის მთავარი ნაწილი 13 ივნისის სტიქიური უბედურებაა. სააკაშვილი იმედოვნებს, რომ ზოოპარკიდან გაქცეული მხეცები ივანიშვილის ეზოში შეცვივდებიან, ნიანგი კი ვინმეს შეჭამს.

იმავე საუბრიდან გავარკვიეთ, რომ საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნები ოდესის ერთ-ერთ საუნაში აპირებენ წასვლას.

საუნაში ჩვენებურებს ბევრი ულაპარაკიათ. მათი საუბრის ჩანაწერს უკრაინული მედია აქვეყნებს და აქვეყნებს. 2 ნაწილი გამოქვეყნდა. მესამე ნაწილის გამოქვეყნებას ამ დღეებში აპირებენ.

საუბრის ჩანაწერიდან ირკვევა, რომ საუნაში შეყუჟულები საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელზე ჭორაობენ.

ზურაბ ადეიშვილმა ხიდაშელზე ანეკდოტიც მოყვა, რაზეც სააკაშვილი კინაღამ სკამიდან გადავარდა.

მათ ძველი ამბებიც გაიხსენეს და ხიდაშელ-უსუფაშვილის წყვილზე არსებულ კომპრომატებზეც გაამახვილეს ყურადღება, რომელთა გამოყენებასაც ჯერ არ აპირებენ.

აი, რა გეგმები აქვთ ყოფილ მაღალჩინოსნებს რესპუბლიკელებთან დაკავშირებით.

**ადეიშვილი:** ხიდაშელზე მაგრა ღადაობენ შტაბში. მე უნდა შევიდე ნატოშიო, ყველასეუბნება.

**სააკაშვილი:** მაგ ქალს ყველაფერი გავუკეთე და გავქაჩე. პინგვინას არ უნდოდა და ამერიკის ყველა სტრუქტურაში ჩემი კონტაქტები წავაშველე. ხო ნახე, ნორლანდმა დაანიშვნინა, მაგრამ, ხომ იცი, ვინც არიან ეგენი, არასანდო და გადამგდებები, თავის ქმართან ერთად.

**ადეიშვილი:** საშინელი ტიპები არიან ეგენი, ტყუილად ეხმარები მაგათ, ესე მგონია. ეგენი კრუჩოკზე უნდა გვყავდეს ყოველთვის.

**სააკაშვილი:** მერე, შენ არ მეუბნებოდი, წაჭერილი მყავსო? ძველი ამბები და ახალიც! კიდევ აგულაშვილთან ღლაბუციო, სად არის ეგა! არადა, ეხლა შეხე რა. სულ დაფინანსებაზე მყავდა თავიდანვე, სოროსი და ფონდები ახალგაზრდა იურისტებს მივაბი, მედიას არ სცილდებოდნენ. მერე მაგ ქალმა, ან მე ან უსუფა უზენაესის თავმჯდომარედ გაგვიშვიო, მევაჭრებოდნენ. ჯერ მოიცადეთ-მეთქი და გაიქცნენ ვაშინგტონში, ირბინეს და ოპოზიცია ვართო, დაირქვეს. ხო ვაფინანსეთ მერეც. ეხლა იმან ჭორვილიდან დაფინანსება შეუმცირა და მე მომთხოვეს თანხა. ეგეც გავუკეთე და გავქაჩე კიდეც. ხოდა, რაც თქვი, ის უნდა დადო, ზურიკ.

**ადეიშვილი:** ძველი მასალები ვანოს ჰქონდა, მოძებნა შეიძლება. ის ტიპი, მე ვიცი, გიგასთან იყო ბოლოს. ახლები გვაქვს შემონახული, მარა გამოყენებას არ გირჩევ, მიშა, ეხლა. მერე შევაგდებთ საჭირო მომენტში. ვანოს მასალები მიმოფანტულია და ყველაფრის თავმოყრაა საჭირო.

**სააკაშვილი:** იცოდე, ყველაფერი შენთან უნდა იყოს აუცილებლად. ეგ საქმე არავის ანდო. ვანოს მე შევუთვალე და იცის, წყნარად უნდა იყოს და ცოტა მოიცადოს. როგორ დაარქვი იმას! ბაჯბაჯას, ხო, ისე უნდა ჩაუნამიოკოთ, რომ არ ითამაშოს. როცა მომენტი მოვა, ჯარმა თავისი პოზიცია უნდა დაიკავოს. იქ სანდო ოფიცრები გვყავს, მაგრამ, თინაც შემპირდა და დათოც თავისას გააკეთებს.

**ადეიშვილი:** მაგათ შეპირებაზე დაყრდნობა არ შეიძლება. ამბიციებით არიან გასიებული. თინას პრემიერობა უნდა, ქმარუკას — პრეზიდენტობა. შემოვკრათ ტაში, ეგაა, რა.

**სააკაშვილი:** მოიცა, რა, სად წავლენ, ეგენი ამერიკელების გარეშე ვერ გაქანდებიან. იქ ჩვენ ზეგავლენა გვაქვს, თანხაზე უკვე შევჯერდით, თან შენი კომპრები თავის ფუნქციას შეასრულებენ, როცა საჭირო იქნება. დავალებას მისცემენ იქიდან და ვსიო.

# „ქართულმა ოცნებამ“ ჩინეთში შეხვედრები გამართა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მმართველი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაღალი თანამდებობის პირებთან.

როგორც „მედიანიუსს“ პარტია „ქართული ოცნებიდან“ აცნობეს, დელეგაცია პარტიის გენერალური მდივნის, ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის ხელმძღვანელობით, ჩინეთის მმართველი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტ ლი იუანჩაოს შეხვდა.

შეხვედრაზე პარტიის გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ დადებითად შეაფასა ორმხრივ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მიღწეული დინამიკა, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის გათვალისწინებით. ამასთან, ხაზი გაუსვა ჩინეთის მხარესთან ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას, განსაკუთრებით სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით.

კახა კალაძის თქმით, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მზად არის ხელი შეუწყოს „აბრეშუმის გზა — ეკონომიკური სარტყელის“ („ერთიანი გზა-ერთიანი სარტყელი“) პროექტის წარმატებულ განხორციელებას. მანვე დადებითად შეაფასა აზიის ინფრასტრუქტურულ საინვესტიციო ბანკში დამფუძნებელი წევრის სტატუსით საქართველოს გაწევრიანება.

თავის მხრივ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ლი იუანჩაომ საქართველოს აზიის ინფრასტრუქტურულ საინვესტიციო ბანკში გაწევრიანება მიულოცა. მან მნიშვნელოვანი უწოდა საქართველოს მონაწილეობას ჩინეთის მიერ ინიცირებულ „ერთიანი გზა-ერთიანი სარტყელის“ პროექტში, კმაყოფილებით აღნიშნა საქართველოს ხელმძღვანელობის აქტიური მონაწილეობა ზემოხსენებულ პროექტში და მიესალმა მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებულ თბილისის აბრეშუმის გზის საერთაშორისო ფორუმის ჩატარებას. ლი იუანჩაომ იმედი გამოთქვა, რომ ჩინური კომპანიები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საქართველოში მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, მათ შორის, ახალი ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის საქმეში, რადგანაც ამ თვალსაზრისით ჩინურ კომპანიებს მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ.

მედიანიუსი

# ნარმანია კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს თანამდებობიდან არ მოხსნის



თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის ავთანდილ სუდაძის მოხსნას არ აპირებს. იგი აცხადებს, რომ ავთანდილ სუდაძე კარგად მუშაობს და ნაკისრ ვალდებულებებს თავს კარგადართმევს.

— ავთანდილ სუდაძე ძალიან კვალიფიციური კადრია. მან ძალიან ბევრი იმუშავა განსაკუთრებით ბოლო პერიოდში. დღეს ის მუშაობს და ჩემს გვერდით არის, — აცხადებს დავით ნარმანია.

დედაქალაქის მერის განცხადებით ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გაშვება იგეგმებოდა სიმართლეს არ შეესაბამება.

ნიუსპოსტი

# უსუფაშვილ-ხიდაშელის ოჯახში უძრავ ქონებას მხოლოდ ცოლი ფლობს



პარლამენტის თავმჯდომარის ქონების შესახებ საჯარო ინფორმაციის თანახმად, ის უძრავ ქონებას არ ფლობს.

მართლაც, 2015 წლის პირველ მაისს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, დავით უსუფაშვილის სახელზე არც ერთი ობიექტი არ არის რეგისტრირებული.

ამავე დოკუმენტში, უსუფაშვილს ოჯახის წევრთა ჩამონათვალში მეუღლის დედა, ზიზილა ურგებაძეც ჰყავს მითითებული. მის სახელზე ორი ობიექტი, — საგარეჯოში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთია რეგისტრირებული.

რაც შეეხება თბილისში მდებარე უძრავ ქონებას, დედაქალაქში, ორივე ბინის მფლობელი თინათინ ხიდაშელია. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ფანასკერტელის ქუჩაზე, გვერდიგვერდ მდებარე ორი ბინის მესაკუთრეა.

ოჯახის უძრავი ქონების რეესტრი წინა წლებშიც ანალოგიურად გამოიყურებოდა.

უძრავი ქონებისგან განსხვავებით, მოძრავი ქონება მხოლოდ დავით უსუფაშვილს გააჩნია. მის საკუთრებაში მსუბუქი ავტომობილი Lexus RX330 ირიცხება.

ნსპ.გე

# თინა ხიდაშელი: მჯერა, რომ 21-ე საუკუნეში ტერორიზმს მომავალი არ ექნება“

საქართველოს თავდაცვის მინისტრი საფრანგეთსა და ქუვეითში განხორციელებულ ტერაქტებს გამოეხმაურა. თინა ხიდაშელი დარწმუნებულია, რომ კოალიცია, რომელიც ერთიანი ძალებით ებრძვის ტერორიზმს შეძლებს საერთაშორისო სტაბილურობის შენარჩუნებასა და ტერორიზმის საბოლოოდ დამარცხებას. მინისტრის თქმით, ეს სამწუხარო ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვან ოპერაციებში მონაწილეობს საქართველო ნატო-ს წევრ და პარტნიორ სახელმწიფოებთან ერთად.

**თინა ხიდაშელი:**

— ეს იყო ძალიან მძიმე ორი დღე ყველასთვის. აშკარაა ტერორისტული ორგანიზაციების გააქტიურება იმ ერთიანობის ფონზე, როდესაც ნატო-ს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოები, მათ შორის, საქართველო ერთობლიობაში ავლენენ.

დარწმუნებული ვარ, რომ ტერორიზმს მომავალი არ აქვს. მჯერა, კოალიცია მოახერხებს კაცობრიობის ამ ყველაზე დიდი სენის საბოლოოდ დამარცხებას. კიდევ ერთხელ დასტურდება იმ საერთაშორისო ოპერაციების მნიშვნელობა, რომელშიც საქართველო თავის პარტნიორ სახელმწიფოებთან ერთად არის ჩართული. თავდაცვის მინისტერილაზე, საიდანც 27 ივნისს, დილით დავბრუნდი, დიდი ყურადღება სწორედ ამ საკითხებს დაეთმო. მჯერა, რომ ტერორიზმს 21-ე საუკუნეში მომავალი არ ექნება.

მედიანიუსი

# ციხეში მაყურებლის ინსტიტუტის აღმოფხვრა ლოზუნგებით ვერ მოხერხდება“

გულიკო ბალაძე

**რამდენიმე თვის წინ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ პენიტენციარული სისტემის რეფორმის თაობაზე განაცხადი გააკეთა.**

**რა არის დადებითი და რა — უარყოფითი სასჯელაღსრულების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან შემოთავაზებულ რეფორმაში?**

**„ახალი თაობა“ ესაუბრა პენიტენციარული სისტემის ექსპერტს, ადვოკატ ვლადიმერ ტაბაღუას.**

***— ბატონო ვლადიმერ, მოგეხსენებათ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, მინისტრის მოადგილე კახი კახიშვილის ინიციატივით, რამდენიმე თვის წინ პენიტენციარული სისტემის რეფორმა დაიწყო. როგორ აფასებთ თქვენ რეფორმის მიმდინარეობას? რეფორმის შედეგად რა შეიცვალა ამ სისტემაში?***

— რეფორმა, თითქოსდა, უწყვეტლივ ტარდება, მაგრამ, როგორც კი იცვლება ხელისუფლება, ადმინისტრაცია, მაშინვე იცვლება პოზიცია. ამბობენ, რომ თურმე ის რეფორმა ფუჭი აღმოჩნდა, თანხები კი ტყუილად დაიხარჯა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა და მისმა მოადგილე კახი კახიშვილმა გამოაცხადეს, რომ მათ ფუნდამენტურად უნდა შეცვალონ სისტემა და დაუახლოონ ევროპულ სტანდარტს. კანონი მიიღეს, ჯერ არ დაბეჭდილა. დავრეკე რედაქციაში, სადაც იბეჭდება, მაგრამ მიპასუხეს, ჯერ არ გამოსულაო. რაც კახიშვილისაგან მოვისმინე, ბევრი ძირეული საკითხი მისაღებია. ის დასკვნები, რომლებიც კახიშვილმა გააკეთა, თეორიულად ესადაგება ევროპულ სტანდარტს, მაგრამ არის მნიშვნელოვანი უკუსვლა თვითონ სისტემის მოწყობისა და ორგანიზაციულ საკითხებში.

***— კერძოდ, რა უკუსვლაა?***

— უკუსვლაა ის, რომ ამ ახალი კანონმდებლობითა და მათი ბრძანებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გააუქმეს და თვითონ შეიერთეს. ეს არის ცენტრალიზებული სისტემა და ეფუძნება ადმინისტრაციული მეთოდებით მართვას. ჯერ ერთი, თვითონ ეს სასჯელაღსრულების სისტემა და მასში შემავალი დანაყოფები ერთმანეთისაგან უნდა იყოს გამიჯნული და თავისი სახელი უნდა დაერქვას. ის უწყება, რომელიც სასჯელის აღსრულებას ახდენს, არის სასჯელაღსრულების დაწესებულება, ხოლო დეპარტამენტი, რომელიც ადრე არსებობდა, არის მმართველობის ზემდგომი ორგანო, რომელიც ზედამხედველობს სასჯელაღსრულების დაწესებულებებს. სამინისტრო კი არის უმაღლესი მმართველობის ორგანო და მას სულ სხვა ფუნქციები აქვს. მან უნდა განავითაროს, დახვეწოს კანონმდებლობა, სწორად განსაზღვროს სასჯელაღსრულების პოლიტიკა, შეიმუშაოს ახალი ნორმები პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ის, რაც ახლა გააკეთეს — სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გაუქმება — ეფექტს არ იძლევა.

***— რატომ?***

— თვითონ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელებს წართმეული აქვთ დამოუკიდებლად, ნაყოფიერად მუშაობის, დამოუკიდებლად განვითარების უფლება, რომ სწორად წარმართონ სასჯელის აღსრულების პროცესი და ექვემდებარებიან ცენტრალიზებულ მართვას, დამოკიდებული არიან იმაზე, რასაც მღებრიშვილი და კახიშვილი უკარნახებენ. სამინისტროდან ყოველდღიურად უნდა აგზავნონ ინსპექტორი და უჩხიკინონ სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობას. ყოველდღიური სიარულით თვითონ სამინისტროს წარმომადგენელს ავტორიტეტი ეკარგება და არავითარი ეფექტის მომტანი არ არის. შემოწმება და კონტროლი უნდა ხდებოდეს ფუნდამენტურად, წელიწადში ან ორ წელიწადში ერთხელ. ისიც ყველა დაწესებულება უნდა მოიცვას. დაწესებულების ფუნქციონირების ძირფესვიანი შემოწმება შეიძლება უფრო ადრე ჩატარდეს, თუ რაიმე საგანგაშო ხმები მოდის.

***— სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სამინისტროს ფუნქციების დუბლირება არ ხდებოდა?***

— არა. სამინისტროს აქვს თავისი დამოუკიდებელი ფუნქცია, რომელიც ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე. ფუნქციების მიხედვით, ის არის მმართველობის ორგანო. საშუალო რგოლი, რომელსაც დეპარტამენტი ერქვა, ყოველდღიური საქმიანობითა და კონტროლით უნდა იყოს დაკავებული და არა — სამინისტრო. ახლა ყველა ფუნქცია, რომლებიც გააჩნდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, მიიკუთვნა სამინისტრომ, თითქოსდა სხვა საქმე არ აქვს. დეპარტამენტი მოშალა, ის არ აგებს პასუხს და ერთადერთი დარტყმის ცენტრი არის სასჯელაღსრულების დაწესებულება, რომელიც მუშაობს სამინისტროს კარნახითა და დაწერილი კანონით. თუ სასჯელაღსრულების ხელმძღვანელობა იმ დაწერილი კანონით წინააღმდეგობას წააწყდება, თვითონ მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია სამინისტროსთან შეკითხვის გარეშე.

***— მაგალითად?***

— ვთქვათ, საქმე სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. ვთქვათ, პატიმარი რაღაც ბლაგვი საგნითაა შეიარაღებული და უნდა დაიჭრას საკუთარი თავი ან რაღაც უნდა ჩაიდინოს. ამ დროს სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელს არ აქვს გეგმა, რა უნდა გააკეთოს. მას დამოუკიდებლად არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ამიტომ უნდა ჰკითხოს პეტრეს, პავლეს. ამ დროს პატიმარმა შეიძლება თავი დაიჭრას ან რაღაც მოხდეს.



***— თვითონ სასჯელაღსრულების დაწესებულებას წესდება არ აქვს, სადაც მითითებული იქნება, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა იმოქმედოს?***

— წესდება ძველი კანონით დაწერილი იყო. ჰქონდათ შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავდა დღის განრიგს. ჰქონდათ ასევე დებულებები, რომელთაც მინისტრი ამტკიცებს კანონმდებლობიდან გამომდინარე. ამათ ეს შეცვალეს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ განაწესი, რომელიც უნდა იყოს დაწესებულებაში, არ არის.

***— რატომ არ არის?***

— არ ვიცი. კარგი იქნება, თუ მინისტრ მღებრიშვილს დაუსვამთ კითხვას, მთელი დღის განმავლობაში სოციალური სამსახური რით არის დაკავებული და რას აკეთებს? ან რით არის დაკავებული ოპერატიული სამსახური? რას აკეთებს რეჟიმის სამსახური? ამ სამსახურთა ერთობლიობა — სამედიცინო, სამეურნეო, კვების ბლოკი და სხვა — მუშაობს თუ არა გამართულად, რით არიან დაკავებული დღის განმავლობაში? პატიმართა საზოგადოებასთან რესოციალიზაციას ვინ უკეთებს ორგანიზებას? თუ ამ საკითხებში პრაქტიკა და თეორია შერწყმული არ არის და თეორია პრაქტიკას არ ამართლებს, იქ მუშაობა ძალიან ძნელია, მით უმეტეს, როცა ზემოდან დავალება მოდის ბრძანების კილოთი: ასე გააკეთე!

***— ბატონმა მინისტრმა განაცხადა, სანამ მე ვიქნები მინისტრი, სასჯელაღსრულების სისტემაში მაყურებლის სტატუსი, როგორც ასეთი, არ იარსებებსო.***

— ეს არის, უბრალოდ, ხმამაღალი განცხადება. სინამდვილეში, პრაქტიკულად, ნებისმიერ დაწესებულებაში რომ შეხვიდე და სამი კაცი იჯდეს, მათ შორის ერთი მაყურებელია. ამის აღმოფხვრა სიტყვიერი განცხადებებითა და ლოზუნგებით არ ხდება. შესასრულებელია დიდი შრომა, კომპლექსური სამუშაო. ამაზე მხოლოდ პენიტენციარული სისტემა კი არ უნდა მუშაობდეს, არამედ ჰარმონიულად უნდა მუშაობდნენ როგორც შს სამინისტრო, ისე პენიტენციარული სისტემა და პროკურატურა.

***— თავის დროზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტი შს სამინისტროს ექვემდებარებოდა და პროკურატურა ზედამხედველობდა. რამდენადაც ვიცი, შემდეგ შს სამინისტროს დაქვემდებარებიდან გამოიყვანეს და იუსტიციის სამინისტროს იმის გამო დაუქვემდებარეს (სანამ ცალკე სასჯელაღსრულების სამინისტრო შეიქმნებოდა), რომ შს სამინისტროსა და პროკურატურის სისტემის მესვეურთა მხრიდან ჩარევა არ ყოფილიყო.***

— აღნიშნული უწყებები დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჰარმონიულად უნდა მოქმედებდნენ. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს შემუშავებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა, რომლის განხორციელებაში მონაწილეობენ სამართალდამცავი ორგანოები, მათ შორის, პროკურატურა.

***— ასეთი პროგრამა შემუშავებული არ არის?***

— ასეთი პროგრამა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ თავიანთი უწყებრივი გეგმა. მაყურებელი და ქურდული ტრადიციების სტატუსი ჯერჯერობით არსებობს საზოგადოებასა და კოლონიებში. ამის მოსპობაა საჭირო. ერთობლივი მოქმედებაა საჭირო. როდესაც პატიმარი თავისუფლდება და ოჯახს უბრუნდება, ქურდული ტრადიციების საზოგადოებაში განვითარების საშუალება არ უნდა იყოს. ამაზე უნდა იზრუნონ პროკურატურამ და შს სამინისტრომ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თუ არის, შიგნით უნდა ებრძოლონ სხვადასხვა კანონიერი მეთოდით. კახი კახიშვილმა განაცხადა, რომ კანონს იღებენ და მოხდება პატიმრების კლასიფიკაცია, რაც წინ გადადგმული, ევროპული ნაბიჯია და ამგვარ გადაწყვეტილებებს მივესალმები.

***— კიდევ რა არის წინ გადადგმული ნაბიჯი ამ რეფორმით?***

— წინ გადადგმული ნაბიჯი ის არის, რომ კანონით მოხდება პატიმრების კატეგორიებად დაყოფა, დანაწილება და, შესაბამისად, სასჯელაღსრულების დაწესებულებების შექმნა. ქურდული ტრადიციების მატარებელი, როგორც სამინისტროს ხელმძღვანელობა მათ უწოდებს, მაღალი რისკის კატეგორიის პატიმრების მიმართ უნდა იყოს სასჯელის მოხდის უფრო მკაცრი პირობები, ვიდრე დაბალი რისკის პატიმრების. ვინც არ არღვევს წესრიგს, მას მეტი შეღავათი უნდა ჰქონდეს დაწესებული. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაღალი რისკის პატიმარს არ ჰქონდეს პრივილეგიები. უნდა იყოს გაწერილი, რა შემთხვევაში როგორ იქნება და როგორ უნდა დაუბრუნდეს ის საზოგადოებას.

***— კონკრეტულად რა პრივილეგიებზეა საუბარი?***

— პრივილეგიაა, სასჯელის მოხდის პერიოდში შეუმსუბუქოს სასჯელის აღსრულება, ამანათის მიღება და პაემნები გაეზარდოს, ვადაზე ადრე გათავისუფლება და შეწყალება, ჰქონდეს სწავლისა და შრომის უფლება, უკეთესი საარსებო პირობების შექმნა, ვიდრე პირს, რომელიც ყოველდღე არღვევს კანონს და მოსვენებას არ აძლევს ოჯახს, შიგნითაც აგრძელებს კანონის დარღვევას. ვინც არ არღვევს შიგნით კანონს, სხვა პირობები ექნება, მეტი პაემანი ექნება ოჯახის წევრებთან.

როცა მე სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელად ვმუშაობდი, საკანში მქონდა ჩამოკიდებული პატიმრის უფლება-მოვალეობის შესახებ ცნობა. არ ვიცი, ახლა რას აკეთებენ. სოციალური სამსახურები პირველი სამი თვის განმავლობაში პატიმარს აგიტაცია-ლექციას უნდა უტარებდნენ, რომ მის თავში შევიდეს, რა ეკუთვნის და რა — არა.

***— საზოგადოებრივი მონიტორინგის საკითხი როგორ არის გადაწყვეტილი?***

— საზოგადოებრივი მონიტორინგი მოიშალა. საზოგადოებას პენიტენციარული სისტემის მონიტორინგის საშუალება უნდა ჰქონდეს.

***— ბატონო ვლადიმერ, სასჯელაღსრულების უწყების წინა და ახალი მინისტრები შეგიძლიათ შეადაროთ?***

— სასჯელაღსრულების უწყების წინა მინისტრსა და მის გუნდთან შედარებით, ახლანდელი მინისტრი და მისი გუნდი უკეთესია. გიორგი მღებრიშვილი და კახა კახიშვილი უკეთესები არიან ამ რეფორმით, რომელიც მათ ახლა შემოგვთავაზეს, ასევე — იმ საკანონმდებლო ბაზით, რომელიც ახლა შექმნეს. საუბრის დროს მხოლოდ ლოზუნგები იყო, მერე მთლად გააფუჭა საქმე, როცა კარგი კადრები გაყარა და თავისი კადრებით შეავსო. ახლანდელი ხელმძღვანელობის პირობებში ასეთი რამ არ ვლინდება. ეს კარგი და მისასალმებელია, მაგრამ კადრებში ამათაც უჭირთ. რატომ არ ქმნიან უმაღლეს და საშუალო პროფესიულ სასწავლებლებს საშუალო რგოლისთვის, თუნდაც დამოუკიდებელი ცენტრის ბაზაზე, გაუგებარია. სოციალური სამსახური სამოქალაქო უნდა გახდესო. ამიტომ სოციალურ სამსახურში მომუშავე კადრები შიშობენ, არ დაეკარგოთ წინა ნამსახურები. არ იციან, როგორი იქნება მათი საპენსიო უზრუნველყოფა, საპენსიო დანამატები.

## ცესკოს თავმჯდომარემ სამ თვეში პრემიის სახით 11.410 ლარი მიიღო

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ოთხ თვეში სამჯერ აიღო პრემია. 2015 წელს, თამარ ჟვანიამ საკუთარი თავის მიმართ, წახალისების ეს ფორმა იანვარში, მარტსა და აპრილში გამოიყენა. შედეგად, ცესკოს თავმდჯომარეს, მიმდინარე წელს პრემიის სახით, ჯამში 11.410 ლარი აქვს აღებული.

ეს თანხა თვეების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

იანვარი — 4.032 ლარი;

მარტი — 3.528 ლარი;

აპრილი 3.850 ლარი.

შეგახსენებთ, რომ თამარ ჟვანია ცენტალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ 2013 წლის 11 სექტემბერს დაინიშნა. ნსპ.გე

## ინტერპოლის მიერ ძებნილი კამერუნელი და თურქი დააკავეს

შსს-მ ინტერპოლის მიერ ძებნილი კამერუნის მოქალაქე დააკავა შსს-მ ინტერპოლის მიერ ძებნილი კამერუნის მოქალაქე დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, საქართველოში ინტერპოლის ცენტრალური ეროვნული ბიუროს და შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ქალაქ თბილისში, კამერუნის მოქალაქე, 1989 წელს დაბადებული ანტიერო ვან დონალდ ედიბე მოკი დააკავეს. აღნიშნული პირი იტალიის ინტერპოლის მიერ 09.05.2015 წლიდან წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე იძებნებოდა.

— ანტიერო ვან დონალდ ედიბე მოკის ბრალად ედება იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 416-ე, 648-ე, 484-ე, 615-ე და 640 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც არაავტორიზებული წვდომის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების სისტემაში შეღწევას, დანაშაულებრივ შეთქმულებას და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ თაღლითობას გულისხმობს, — ნათქვამია განცხადებაში.

შსს-ს ინფორმაციით, ამჟამად აღნიშნული პიროვნება დაკავებულია და მის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

◆ ◆ ◆

შსს-მ ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე დააკავა შსს-მ ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსვლისას თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1968 წელს დაბადებული ერდოღან დაგდევირენი დააკავეს. აღნიშნული პიროვნება გისბადენის ინტერპოლის მიერ 24.03.2015 წლიდან საერთაშორისო დონეზე იძებნებოდა.

— ერდოღან დაგდევირენს ბრალად ედება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილით და საგადასახადო კოდექსის 370-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რაც გადასახადებისაგან თავის არიდებას გულისხმობს. ერდოღან დაგდევირენი 2011 წლის იანვრიდან 2013 წლის მარტამდე ხელმძღვანელობდა კომპანია „კესტელს“ (საფრანგეთი), რომელიც გერმანიაში სხვადასხვა კომპანიიდან დიდი ოდენობით სიგარეტის შესყიდვას ახორციელებდა. მის მიერ გადაუხდელმა გადასახადებმა 5.684.740 ევრო შეადგინა, — ნათქვამია განცხადებაში.

შსს-ს ინფორმაციით, ამჟამად ერდოღან დაგდევირენის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

ინტერპრესნიუსი



# სანდრო თვალჭრელიძე: ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ირაკლი მანაგაძეს ვისურვებდი“

ნათია ხურცილავა



**2016 წლის თებერვალში ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს უფლებამოსილების ვადა გასდის. საქართველოს პრეზიდენტი, კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.**

**„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნულ საკითხზე ეკონომიკის ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე საუბრობს.**

***— ბატონო სანდრო, პარლამენტში შეიმუშავეს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობის სამსახური უნდა გამოეყოს, თუმცა პრეზიდენტი მზად არის, კანონპროექტს ვეტო დაადოს. ეთანხმებით პრეზიდენტს თუ არა?***

— ამ შემთხვევაში პრეზიდენტს არ ვეთანხმები. ჩვენს მსგავს პოლიტიზებულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს არც ერთი უწყება, რომელიც კონტროლს გარეთ იქნება დარჩენილი, როგორც არის ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკი. ცდუნება ძალიან დიდია. თვითონ ქადაგიძემ ბრძანა, რომ კანონი არ დაურღვევია. მართლაც არ დაურღვევია, მაგრამ ისეთი ქმედება განახორციელა, რომელმაც საფრთხე შეუქმნა მთლიანად საქართველოს მოქალაქეებს ლარის კურსთან მიმართებით. მე ძალიან კარგად ვიცი, როგორ იმართება ლარის კურსი. ჩვენ გაცილებით მძიმე კრიზისები გვქონია, მაგალითად, 1998 წელს, მაგრამ ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტი, ირაკლი მანაგაძე, მშვენივრად უვლიდა ამ პროცესებს. ლარის კურსის რყევა და მისი გაუფასურება მთლიანად ეროვნული ბანკის კისერზეა. ამიტომ უნდა არსებობდეს ზედამხედველობის სამსახური, რომელიც ეროვნულ ბანკს არ დაექვემდებარება. ნახეთ, კომერციულ ბანკებში როგორ ხორციელდება ეროვნული ბანკის ქმედებები, მაგალითად, რეფინანსირების და ა.შ. პროცესი. ამ თვეებში ძალიან ბევრი ფული გაკეთდა, სახელმწიფო ფული.

***— კერძო სექტორმა, ბანკებმა გააკეთეს ფული?***

— დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ. ჩვენი კანონმდებლობით, მხოლოდ კერძო ბანკებს აქვთ მოქმედების საშუალება. ეროვნულ ბანკს აქვს შესაბამისი ინსტრუმენტები, რომლებიც შეუძლია მას გამოიყენოს.

***— ბატონო სანდრო, ეროვნული ბანკის მოქმედ პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს 7 თვეში უფლებამოსილების ვადა ეწურება. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უკვე გამოაცხადა, რომ ახალი კანდიდატურის შერჩევის პროცესს იწყებს. ნაციონალური მოძრაობა ნაადრევად მიიჩნევს ამ პროცესს. როგორი უნდა იყოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი? მთავარი კრიტერიუმი რა უნდა იყოს?***

— ჩემი აზრით, ეროვნული ბანკის იდეალური პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე იყო.

***— რა კრიტერიუმებით?***

— მისი მმართველობის დროს ეროვნული ბანკი ძალიან ღია იყო. პიროვნულად შორს იყო პოლიტიკისგან, არ ერეოდა პოლიტიკურ პროცესებში. კვარტალური სტატისტიკური მონაცემები ძალიან ზუსტი იყო, ძალიან კარგად გამოცემული. ჩვენ ყოველდღე, ყოველ წუთს ვიცოდით, რა მდგომარეობაშია ჩვენი ფართო ფული, მისი ყველა აგრეგატი ეროვნულ ვალუტაში, უცხოურ ვალუტაში და ა.შ. ჩვენ შეგვეძლო, გაგვეანალიზებინა ეროვნული ბანკის ქმედებები.

***— დღეს ეროვნული ბანკი ჩაკეტილია?***

— ნაციონალური მოძრაობის მმართველობაში მოსვლის შემდეგ ეს ყველაფერი აილაგმა. ინფორმაცია აღარ არსებობს. მე მეჩვენება, რომ ის, რაც იყო, დასაბრუნებელია. აუცილებელია, მიმდინარეობდეს ღია, გამჭვირვალე პროცესები, რომ პროგნოზირებადი იყოს.

***— რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პირველ რიგში?***

— პირველ რიგში პროფესიონალი, გამოცდილი უნდა იყოს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ძალიან პრინციპული იყოს, რომელიც ყოველნაირ ზეწოლას გაუძლებს. ჩვენ პოსტტოტალიტარულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ასეთი ზეწოლების ცდუნება ძალიან დიდია. ეროვნული ბანკის ახალმა პრეზიდენტმა ასევე ეროვნულ ბანკში უნდა შექმნას პროფესიული და სასიამოვნო გარემო, ირგვლივ პროფესიონალები უნდა იყვნენ. მე ასეთი თვისებებისა და მონაცემების ადამიანს ვისურვებდი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე. მოქმედი პრეზიდენტის პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ის პოლიტიკური პროცესების მონაწილე გახდა და ეს სრულიად ღიად გამოჩნდა.

***— ამ პოსტზე რეკომენდაციას ბატონ მანაგაძეს უწევთ?***

— მე ვერ გეტყვით, ირაკლი მანაგაძე რამდენად დათანხმდება ამ პოსტს, რადგან მან ერთხელ ბრძანა, რომ მდინარეში ორჯერ არ შედიან. მას, რამდენადაც ვიცი, ლონდონში კარგი პოსტი აქვს. მე ვფიქრობ, ძალიან კარგი კანდიდატი იქნებოდა, თუმცა სხვა კანდიდატებიც შეიძლება მოიძებნოს, რომლებიც დააკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს და კარგი პრეზიდენტები იქნებიან.

***— ბატონო სანდრო, რამდენად არის შესაძლებელი, რომ რეალურად დასავლური ტიპის ეროვნული ბანკი და მენეჯმენტი გვქონდეს?***

— სავსებით არის შესაძლებელი, თუ ამის ნება იქნება. პირველ რიგში, ძალიან მნიშვნელოვანია, სწორი კანდიდატი შეირჩეს. როგორი უნდა იყოს ეს კანდიდატი, ამაზე მოგახსენეთ.

***— ახალი მენეჯმენტი ეროვნული ვალუტის რყევებზე, კურსის სტაბილიზაციაზე რამდენად იქონიებს გავლენას?***

— გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება იქონიოს. ძალიან მნიშვნელოვანია სავალუტო ფონდთან უფრო აქტიური დიალოგის რეჟიმი. მეორეკლასელივით, რომელსაც კუთხეში დააყენებენ, კი არ უნდა დანებდე, აქტიური დიალოგი უნდა გააბა სავალუტო ფონდთან, რასაც ახლა მე ვერ ვხედავ. ამას ვხედავდი მანაგაძისა გოცირიძის პრეზიდენტობის დროს. მე თვითონ ვიღებდი მონაწილეობას სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებებში.

***— რამდენად არის შესაძლებელი მათი დარწმუნება?***

— კარგი მოლაპარაკების წარმოების დროს მათი დარწმუნება შესაძლებელია. მე ეს თავის დროზე გამიკეთებია. სხვა პრეზიდენტებსაც გაუკეთებიათ. მთავარია, პროფესიონალიზმი და გამოცდილება იყოს საკმარისი სავალუტო ფონდთან დიალოგში.

***— ბიუჯეტის კორექტირებაზე რა შეგიძლიათ გვითხრათ? ნაციონალურმა მოძრაობამ მას სეკვესტრი უწოდა.***

— კორექტირება მოხდა თუ სეკვესტრი, ამას ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, ბიუჯეტი რეალობას მიუახლოვდეს. რატომ იყო არასწორად დაგეგმილი, ეს სხვა საკითხია. 2014 წლის შემოდგომის მონაცემებით, როდესაც ბიუჯეტის დაპროექტება მიდიოდა, აშკარა იყო, რომ ნავთობზე ფასები არ გაიზრდებოდა, რომ რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ და რეგიონში ვითარება უფრო დაძაბული იქნებოდა. ეს სავსებით პროგნოზირებადი იყო.

***— დღეს შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ეკონომიკური გუნდი დაკისრებულ მოვალეობას თავს ართმევს?***

— გააჩნია, რას ვიგულისხმებთ ამ მოვალეობაში. თუ ეს არის ყოველდღიური ცხოვრება, მაშინ კი, აშკარად ართმევს თავს. ჩვენ არ გვაქვს ეკონომიკური კრიზისი და არც ეკონომიკური კრიზისის ნიშნები, მაგრამ, ჩვენ ვიგულისხმებთ იმას, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ შექმნილა სტრატეგიული განვითარების გეგმა, მაშინ რაღაც-რაღაცები ისე არ იმართება, როგორც უნდა იმართებოდეს. მივდივართ წინ, მაგრამ არ ვიცით — როგორ. ეს დიდი მინუსია. იყო მცდელობა, რომ მსგავსი გეგმა შექმნილიყო. მისი ავტორი ნოდარ ხადური იყო, მაგრამ რატომღაც დავიწყებას მიეცა. პროცესი შუაში შეჩერდა. თვითონ ხადური ამას არ შეაჩერებდა, რადგან ის იყო ინიციატორი.

# ლომბარდებში მოსახლეობის აქტივობა შემცირებულია



ლომბარდების წარმომადგენლები მოსახლეობის მხრიდან დაბალ აქტივობაზე საუბრობენ, რასაც რამდენიმე ფაქტორით ხსნიან. მათ შორისაა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ოქროზე ფასის შემცირება, ლარის დევალვაცია და ასე შემდეგ.

თბილისში მდებარე რამდენიმე ლომბარდის წარმომადგენლების ინფორმაციით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ოქროს ფასი ბევრად მაღალი იყო, შესაბამისად, ნივთები მაღალ პროცენტშია დალომბარდებული და დღეს არსებული ფასით კლიენტებს აღარ უღირთ გამოსყიდვა.

ნავთლუღის ქ.62-ში მდებარე ლომბარდში აცხადებენ, რომ მათთან აქტივობა განახევრებულია, თითქმის შეჩერებულია დაგირავებული ნივთების გამოსყიდვის პროცესიც. მათივე ინფორმაციით, ოქროს შეფასება ძველი ტარიფით ხდება, ოქროს ფასი კი შემცირებულია. შედეგად, კლიენტს აღარ უღირს ნივთის გატანა.

ანალოგიურ პრობლემაზე საუბრობენ ჯავახეთის ქუჩაზე მდებარე ლომბარდ □ი.მ ჯგუფში". მათი ინფორმაციით, გასული წლის ანალოგიური პერიოდისგან განსხვავებით, ოქროზე ფასი შემცირებულია, გამოსყიდვის შემთხვევაში კი კლიენტი წაგებული რჩება, რადგან ოქროს იმ ფასად ვეღარ გაყიდის, რა ფასადაც მაგალითად, გასულ წელს დაალომბარდა.

□ი.მ ჯგუფში" ასევე აცხადებენ, რომ ბოლო პერიოდში შემცირებულია მიმართვიანობაც, თუმცა მიზეზებს ვერ ხსნიან. □ი.მ ჯგუფში" ოქროს დალომბარდების თვიური საპროცენტო განაკვეთი 2 პროცენტს შეადგენს.

რაც შეეხება ოქროს ფასს, □ოქროს ბირჟის" წარმომადგენელი არტურ მიკრტიჩიანი აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში ოქროზე ფასი მკვეთრად შემცირდა. მისი ინფორმაციით, დღეს 1 გრამი ჯართი ოქროს ფასი 47-48 ლარია, ხოლო ნაკეთობის 50-55 ლარიდან იწყება. მიკირტიჩიანის განცხადებით, ლარის დევალვაციამ ძვირფასეულობის ბიზნესს სერიოზული პრობლემა შეუქმნა. ამას დაემატა მარხვის პერიოდიც, რამაც □ოქროს ბირჟაზე" გაყიდვები მკვეთრად შეამცირა.

მოსახლეობის დაბალ აქტივობაზე საუბრობენ მეტრო ისნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ტექნიკის ლომბარდში. მათი ინფორმაციით, გასულ წელთან შედარებით მოსახლეობის აქტივობა თითქმის განახევრებულია. თუმცა, ლომბარდის ადმინისტრაცია შემცირების მიზეზებზე ვერ საუბრობენ.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

# სახელმწიფო სერვისებით სარგებლობა ახლა უკვე სოფლიდან გაუსვლელად ლიბერთი ბანკის“ მობილურ ფილიალებშია შესაძლებელი



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ ქალაქ გორში ახალ საპილოტე პროექტს იწყებს, რომლის ფარგლებშიც 260 სოფლის მოსახლეობა „ლიბერთი ექსპრესის“ მობილური ფილიალებიდან საბანკო მომსახურებასთან ერთად სახელმწიფო სერვისების მიღებასაც შეძლებს. გორის ცენტრიდან „ლიბერთი ბანკის“ პირველი ავტომობილების გასვლას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი შიო ხეცურიანი, პარლამენტის წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

იუსტიციის მინისტრმა მადლობა გადაუხადა „ლიბერთი ბანკის“ გენერალურ დირექტორს იმ შესაძლებლობისათვის, რომ ძირითად სახელმწიფო სერვისებს საქართველოს პატარა სოფლების მოსახლეობაც კი თავისავე საცხოვრებელ ადგილზე მიიღებს. აქამდე „ლიბერთი ბანკის“ ფილიალები ფუნქციონირებდნენ იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, დღეიდან კი სახელმწიფო სერვისების მიღება პატარა სოფლებში მცხოვრებთათვის „ლიბერთი ბანკის“ ავტომობილებში იქნება შესაძლებელი. თეა წულუკიანის განცხადებით, ეს თანამშრომლობა კერძო ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია.

პროექტი „ლიბერთი ბანკთან“ პარტნიორობით მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება და მისი მიზანი სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაა. წლის ბოლომდე მსგავსი მომსახურება 1.000-ზე მეტი სოფლის მოსახლეობისთვის გახდება ხელმისაწვდომი.

„ლიბერთი ბანკის“ „ლიბერთი ექსპრესის“ მობილური ფილიალები სახელმწიფო სერვისებით მოემსახურებიან ისეთ სოფლებს, სადაც არ არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი ცენტრები. შესაბამისად, სოფლის მოსახლეობას აღარ მოუწევს შორ მანძილზე გადაადგილება სახელმწიფო სერვისების მისაღებად. „ლიბერთი ექსპრესის“ მობილურ ფილიალებში მომხმარებელს შეუძლია, მიიღოს როგორც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ისე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, საქართველოს ეროვნული არქივისა და შპს „მექანიზატორის“ მომსახურება: პასპორტისა და პირადობის მოწმობის აღება, მიწის რეგისტრაცია, უძრავი ქონების გადაფორმება, საკუთრებასთან დაკავშირებით განაცხადის მიღება, სულადობის ცნობა, საკადასტრო გეგმის მომსახურება, საარქივო მომსახურება და სხვ.

საქართველოს მასშტაბით „ლიბერთი ექსპრესის“ 113 მობილური ფილიალი ყოველთვიურად 1.000-ზე მეტ სოფელში 155.000-ზე მეტ მომხმარებელს სთავაზობს სერვისს. „ლიბერთი ექსპრესის“ მობილურ სერვისცენტრში მომხმარებელს შეუძლია, მიიღოს სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურება: პენსიისა და სოციალური დახმარების აღება, ფულადი გზავნილის მიღება ან გაგზავნა, ანგარიშის გახსნა, სესხის აღება, კომუნალური და სხვა გადასახადების გადახდა და სხვ.

როგორც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე შიო ხეცურიანმა აღნიშნა, „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მუდმივად ზრუნავს სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეძლოს სახელმწიფო სერვისების გამოყენება დამატებითი დაბრკოლებების გარეშე. მოხარული ვართ, რომ დღეიდან შიდა ქართლის 260 სოფლის მოსახლეობა სოფელშივე შეძლებს სახელმწიფო მომსახურებების მიღებას“.

„ჩვენი მიზანია, მომხმარებელს მაქსიმალური კომფორტი შევუქმნათ და მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება შევთავაზოთ. მოხარული ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან ერთად განვახორციელოთ ეს მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის შედეგადაც მომხმარებელი სახელმწიფო სერვისებს ჩვენი არხების მეშვეობით მიღებს“, — განაცხადა „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი არველაძემ.

# 21 წლის გოგო ყოფილმა ქმარმა მოიტაცა

25 ივნისს, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიიდან სტუდენტი, 21 წლის გოგონა ყოფილმა მეუღლემ მოიტაცა. შემთხვევა უნივერსიტეტის წინ მოხდა. გატაცებისას გოგონა ყვიროდა და შველას ითხოვდა, ის მანქანაში ძალის გამოყენებით ჩასვეს, თუმცა მას არავინ დაეხმარა.

თვითმხილველებმა არც პოლიციაში დარეკეს. სამართალდამცავებს მომხდარის შესახებ უნივერსიტეტის ერთ-ერთმა ლექტორმა შეატყობინა. შსს-ს ცნობით, იმის გამო, რომ მამაკაცმა ყოფილ მეუღლესთან შერიგება ვერ მოახერხა და მშობლებთან დააბრუნა, შესაძლოა, ის სასჯელს გადაურჩეს.

— დაახლოებით 11 საათისთვის ფანჯრიდან გავიგე ქალის კივილი. მაშინვე დავტოვე კაბინეტი, რომ გამეგო რა მოხდა. ამბობდნენ, გოგო მოიტაცესო. როდესაც მანქანაში „ტენიან“ გოგონას, ეს ძალადობა. მეგონა, რომ საზოგადოება სწრაფად მოახდენდა რეაგირებას და გამოჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც სამართალდამცავებს მიმართავდნენ, უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის თანამშრომლები ან ის ადამიანები მაინც, ვინც თვითმხილველები იყვნენ. როდესაც ვიკითხე, რატომ არ რეკავთ პატრულში მეთქი, მითხრეს, რატომ უნდა დავრეკოთ, იქნებ უყვარდათ ერთმანეთი, ხელი რატომ უნდა შევუშალოთ და პრობლემები რატომ უნდა შევუქმნათო. ამის შემდეგ მე შევატყობინე პოლიციას, — უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს უნივერსიტეტის პროფესორმა მარი ცისკარიშვილმა.

— ძალით წაიყვანეს, ყველამ გაიგო ყვირილის ხმა. ყოფილმა ქმარმა მანქანაში ძალით ჩასვაო. უნივერსიტეტთან ახლოს მოხდა ეს შემთხვევა. დაცვაც იყო იქ, სტუდენტებიც იქნებოდნენ, მაგრამ არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ — აღნიშნა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ისლამ გორგიშვილმა.

დაზუსტებული მონაცემებით, შემთხვევა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ, დღის 11:00 საათზე იმ დროს მოხდა, როცა გოგონა გამოცდიდან გამოვიდა. ეს ის დროა, როდესაც უნივერსიტეტში უამრავი სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი იმყოფება. შესასვლელთან მუდმივად მორიგეობენ დაცვის სამსახურის თანამშრომლებიც. მომხდარის შესახებ ბევრმა იცის, თუმცა ამბობენ, რომ არაფერი დაუნახავთ. კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ერთ-ერთი თვითმხილველი, უნივერსიტეტის წინ მოვაჭრე ქალბატონი ფარულად ჩაიწერა.

— გოგო ყვიროდა. დავინახე რომ ებღაუჭებოდნენ და მანქანაში შეტენეს. ცოლი ყოფილა. აქვე მოხდა. უნივერსიტეტთან იყვნენ ვიღაცეები, მაგრამ არ ვიცნობ მათ. არავინ დახმარებია. ყველაფერი ერთ წუთში მოხდა, — ამბობს თვითმხილველი.

თელავის პოლიციაში გამოძიება ლექტორის, მარი ცისკარიშვილის შეტყობინების საფუძველზე დაიწყო. სისხლის სამართლის საქმე 143-ე მუხლით არის აღძრული, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს და სასჯელის სახით, ორიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მამაკაცმა ყოფილ მეუღლესთან შერიგება ვერ მოახერხა, რის გამოც გოგონა უკან, მშობლების სახლში დააბრუნა. საქმეზე გამოძიება გრძელდება, თუმცა სავარაუდოდ, ალბათ შეწყდება.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

## რა მოხდა ვაკე-საბურთალოს გზაზე

### დაჭრილი ახალგაზრდა „კორკოტას“ ვაჟია

რამდენიმე დღის წინ, ვაკე-საბურთალოს გზაზე, „კოფე ინ“-თან მომხდარი შემთხვევის შედეგად გია კორკოტაშვილის ვაჟი, 26 წლის ვაჟა კორკოტაშვილი დაჭრეს. ინფორმაციას გია კორკოტაშვილი ადასტურებს.

კორკოტაშვილის განცხადებით, მისი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია. კორკოტაშვილი მომხდარის დეტალებზე არ საუბრობს და აცხადებს, რომ მომხდარს სამართალდამცავები გამოიძიებენ.

შინაგან სამქეთა სამინისტროს ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე პატრულირებისას, კაფე „კოფეინის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რამდენიმე ახალგაზრდას შორის ფიზიკური დაპირისპირების ფაქტი შენიშნეს. ადგილზე მისვლისას გაირკვა, რომ ერთ-ერთ პიროვნებას სხეულზე ცივი იარაღით დაზიანება ჰქონდა მიყენებული. დაჭრილი ამ დროისთვის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირი ცხელ კვალზე, შემთხვევის ადგილზევე დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. უწყების ცნობით გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლით).

გია კორკოტაშვილის ვაჟი 2012 წელს, ახალი წლის ღამესაც მეგობრებთან -ლევან ლეჟავასთან და გიორგი ნადირაძესთან ერთად შანიძის ქუჩაზეც დაჭრეს. მიყენებული ჭრილობებით, გიორგი ნადირაძე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

პირველი რადიო

## დაცვის პოლიციის ინსპექტორი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა შსს-ს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველოს I განყოფილების — სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ობიექტების დაცვის ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ბერდია ხ. ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბერდია ხ-მ თავისივე თანამშრომელს, დაცვის უმცროს ინსპექტორს, პოლიციის რიგით ლერი ა-ს, ოფიცრის პირველადი სპეციალური წოდების მინიჭებასა და სამსახურებრივ დაწინაურებაში დახმარების სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა 600 აშშ დოლარი, ხოლო გამოართვა 300 აშშ დოლარი.

გამოძიება მოხელის მიერ ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის I ნაწილით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია აწარმოებს.

ნიუსპოსტი

## უგულავა პარლამენტის წინააღმდეგ

### საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი მიიღო



დედაქალაქის ყოფილი მერის, გიგი უგულავას სარჩელი პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში განსახილველად მიიღო.

საკონსტიტუციო სასამართლო რამდენიმე მუხლზე იმსჯელებს.

გიგი უგულავას მხარე საპროცესო კოდექსში არსებული იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს, რომელიც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაში მყოფი პირისთვის განმეორებით პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

ნიუსპოსტი

## ანტიკვარული წიგნის გაყიდვის მცდელობისას დააკავეს

მოსკოვის ცენტრში, არბატზე, ხანძრის შედეგად დამწვარი ბიბლიოთეკის „ინიონ რანის“ კუთვნილი წიგნების გაყიდვის მცდელობისას, ერთი პირი დააკავეს.

დაკავებული, 1970 წელს დაბადებული, ეროვნებით ქართველი აღმოჩნდა, რომელიც მოსკოვის გარეუბან ორეხოვო-ზუევეში ცხოვრობდა.

მისი სახლის ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა, მე-19 საუკუნის ანტიკვარული წიგნების 11 ეგზემპლარი აღმოაჩინეს.

რუსული მედიის ცნობით, წიგნები ისტორიული მნიშვნელობისაა და მას საბჭოთა კავშირის ფუნდამენტურ სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის საიდენტიფიკაციო ბეჭედი ჰქონდა.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს წიგნები ბიბლიოთეკიდან მოპარული იყო, რომელშიც ხანძრის შემდეგ, აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

აღნიშნულ ფაქტზე დეტალების დაზუსტება და მტკიცებულებების გადამოწმება მიმდინარეობს.

მოსკოვში ანტიკვარული წიგნების გაყიდვის ბრალდებით ბოლო პერიოდში, უკვე მესამე მამაკაცი დააკავეს.

ნსპ.გე

## ყაჩაღობა ოზურგეთში

შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული დავით ტ. ყაჩაღობის ბრალდებით ოზურგეთში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული თანამზრახველთან ერთად 14 აპრილს ოზურგეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე „რომპეტროლის“ ბენზინგასამართ სადგურში ნიღბითა და პისტოლეტით შეიარაღებული შეიჭრა. მათ ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით 300 ლარი გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა ნიღბები და ცეცხლსასროლი იარაღი შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

ნიუსპოსტი

## აჭარაში 32 კილოგრამი ტროტილი ამოიღეს



შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს მუხაესტატეს განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული თამაზ ჯ. საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით ქობულეთში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის სათავსოს ჩხრეკისას, 32 კგ ტროტილი, 18 კაფსულ-დეტონატორი და 30 მეტრის სიგრძის ცეცხლგამტარი ზონარი ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.გამოძიება საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

პირველი რადიო

## გუდაური-კობის მონაკვეთზე ასობით სატვირთო ავტომობილია გაჩერებული

გუდაური-კობის მონაკვეთზე ასობით სატვირთო ავტომობილია გაჩერებული. ავტომობილების მძღოლთა განცხადებით, უკვე მეოთხე დღეა გზის ამ მონაკვეთზე შეფერხებულები არიან და საპატრულო პოლიცია ყაზბეგის გამშვები პუნქტის მიმართულებით გადაადგილების უფლებას არ აძლევს.

მათი ინფორმაციით, სატვირთო ავტომობილებში, რომლითაც ისინი იმყოფებიან, მოთავსებულია რუსეთის ტერიტორიაზე გასატანი ქართული ღვინო, ბორჯომი, ლიმონათი და ხილი. მძღოლები აცხადებენ, რომ მათ პროდუქციას შეფერხების გამო გაფუჭების საფრთხე ემუქრება.

რაც შეეხება მიზეზს, მძღოლების თქმით, საპატრულო პოლიცია მათთან საუბარში აცხადებს, რომ საბაჟო გამშვებ პუნქტზე შეფერხებაა და ამის გამო არ აძლევენ გადაადგილების საშუალებას. ასევე, ქართველი მძღოლები აცხადებენ, რომ განსხვავებით მათგან, გამშვები პუნქტისკენ გადაადგილების უფლება ეძლევათ სომხეთის მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიიდან ქართული პროდუქტი გააქვთ.

სატვირთო ავტომობილები გაჩერებულები არიან დუშეთიდან რამდენიმე კილომეტრის სიგრძეზე. მძღოლების ინფორმაციით, გაჩერებულია რამდენიმე ასეული სატვირთო ავტომობილი.

შემოსავლების სამსახურის პრესსამსახურის უფროსის ხატია მოისწრაფიშვილის განცხადებით, გაზრდილია ტვირთბრუნვა და, შესაბამისად, ტრაილერების ნაკადი და რუსული მხარე ლარსის საბაჟოზე ვერ უზრუნველყოფს მათ დროულად გატარებას.

— პრობლემა მომდინარეობს არა ქართული, არამედ რუსული მხრიდან. გაზრდილია ნაკადი, განსაკუთრებით სომხური ტრანზიტის ხარჯზე. ჩვენ ვატარებთ ძალიან სწრაფად,

თუმცა რუსული მხარე ვერ უზრუნველყოფს მათ დროულად და ეფექტიანად გატარებას. ჩვენ დამოკიდებულები ვართ რუსულ მხარეზე, — აღნიშნა მოისწრაფიშვილმა.

მისივე თქმით, როდის მოგვარდება აღნიშნული პრობლემა, რუსულ მხარეზეა დამოკიდებული.

## დიციდან გატაცებული გოჩა ბერუაშვილი ცხინვალის იზოლატორიდან გაათავისუფლეს

რამდენიმე დღის წინ დიციდან გატაცებული გოჩა ბერუაშვილი ცხინვალის იზოლატორიდან გაათავისუფლეს. სოფელ შავშვების მკვიდრი



ჯარიმის გადახდის შემდეგ გათავისუფლდა.

შეგახსენებთ, ბერუაშვილი რუსმა სამხედროებმა რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლეს. შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც ის დიცში თივის ჩამოსატანად იყო ჩასული.

ნიუსპოსტი

## უბედური შემთხვევა მცხეთაში

### ახალგაზრდა მამაკაცი არაგვის ხიდიდან გადავარდა




უბედური შემთხვევა მოხდა მცხეთაში. ახალგაზრდა მამაკაცი არაგვის ხიდიდან გადავარდა. მისი ამოყვანა მაშველებმა შეძლეს. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

როგორც „პირველ რადიოს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ახალგაზრდა მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ინციდენტის გამო დროებით შეფერხებული იყო ავტოსატრანსპორტო მიმოსვლა .

პირველი რადიო

## თბილისში ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს

თბილისში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს. არსებული ინფორმაციით, მამაკაცს ოჯახის წევრები რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ.

მომხდართან დაკავშირებით დამატებითი დეტალები ამ დროისთვის უცნობია. ცხედარი 27 ივნისს ჩუღურეთის რაიონში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში აღმოაჩინეს. როგორც „პირველ რადიოს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ცხედარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროშია გადასვენებული და ექსპერტიზა უტარდება.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

პირველი რადიო

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზირებული სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და არაოპერაციულ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცარია და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# როგორ უმკლავდება ყარაბაღი ეკონომიკურ გამოწვევებს — ინტერვიუ პრემიერ-მინისტრთან

**რა გამოწვევების წინაშე დგას მთიანი ყარაბაღის ეკონომიკა და როგორ აპირებს ხელისუფლება, გაუმკლავდეს ამ გამოწვევებს? — ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ**
**არაიკ არუთუნიანს**



***— ბატონო პრემიერო, ცოტა ხნის წინ ახალარჩეულმა პარლამენტმა დაამტკიცა მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის მთავრობის სამოქმედო გეგმა 2015-17 წლებში. რა პრიორიტეტული მიმართულებებია აღნიშნულ წლებში და რა მოლოდინი გაქვთ თქვენ ამ პროგრამისგან?***

— ყარაბაღის ეკონომიკის განვითარებისთვის პრიორიტეტულად უწინდებურად რჩება სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, კერძოდ, ელექტროენერგიის გამომუშავება, სამთო მოპოვებითი მრეწველობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ტურიზმი. ეს განპირობებულია როგორც უსაფრთხოების საკითხებით, ისე — ამ სექტორების პოტენციური შესაძლებლობებით. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა პროგრამა და ინიციატივა მითითებულ სექტორებში მოიტანს წარმატებას და ჩვენ სერიოზულ პროგრესს მივაღწევთ უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლების კუთხით.

***— გთხოვთ, უფრო კონკრეტულად წარმოგვიდგინოთ, ამ მიმართულებებიდან რომელი აჩვენებს უფრო სერიოზული და რეალური განვითარების ტენდენციას?***

— რაც ჩამოვთვალე, ყველა მიმართულებას აქვს რეალური და სერიოზული განვითარების ტენდენცია. უპირველეს ყოვლისა, ამ მიმართულებების განვითარების წინაპირობა არის კარგი ბიზნეს-გარემოს შექმნა, კანონმორჩილება და ხალხის შრომისმოყვარეობა.

უწინდებურად მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მისდევს მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას. 2007 წელს ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ტექნიკური მოდერნიზაციის ხელშეწყობა ამ სფეროში. ამ მიზნით განხორციელდა და ახლაც ხორციელდება მთელი რიგი პროგრამები და დღეს ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მაღალ შედეგებზე, რომლებიც სერიოზულ წინაპირობას ქმნიან სფეროს განვითარებისთვის.

გადამამუშავებელ მრეწველობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი რესურსები. ამასთან, ის არა მხოლოდ შიდა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, არამედ შეიძლება ექსპორტზე გატანა, განსაკუთრებით კვების პროდუქტების წარმოებაში.

სამთო მოპოვებითი მრეწველობის განვითარება უკავშირდება ქვეყნის სიღრმეში ლითონის და სხვა სასარგებლო წიაღისეულისა და მინერალების არსებობას, ასევე, მიწისქვეშა კვლევებს და ამ სფეროში საინვესტიციო მიმზიდველობის დონის ამაღლებას.

ტურიზმის სფეროში ჩვენ გვაქვს შესანიშნავი ტაძრები, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე კულტურული ძეგლები და თანამედროვე სერვისების შესაძლებლობა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს წარვსდგეთ მსოფლიოს წინაშე. აქ ჩვენ უფრო მეტად ორიენტირებულნი ვართ სომხურ დიასპორაზე.

მინდა გამოვყო საინფორმაციო ტექნოლოგიების სფერო, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ აქვს სწრაფი განვითარების რეალური პერსპექტივა. ამას განაპირობებს განათლების პოტენციალის გაცილებით მაღალი დონე, ასევე, ის ნაკარნახევია საგარეო გამოწვევებით და ქვეყნის ტერიტორიული და სატრანსპორტო შეზღუდვებით.

***— ბოლო ათწლეულების მანძილზე სამთო მოპოვებითი მრეწველობა მიიჩნევა სფეროდ, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისთვის. რა ვითარებაა დღეს ამ სფეროში და რა პროგრამები ხორციელდება ამ დარგის განვითარებისთვის?***

— სამთო მოპოვებით მრეწველობას დღესაც სერიოზული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განვითარებისთვის, როგორც დამატებითი ღირებულების შექმნის, ისე სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის კუთხით. 2014 წლის მონაცემებით, მრეწველობის 28% მოდის სამთო მოპოვებით მრეწველობაზე. ამ სფეროში სერიოზული ინვესტიციები ხორციელდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპილენძისა და მოლიბდენის მადნები კაშენში, ოქროს მადანი კოვსაკანში და ქვანახშირი — მაგავუზში, რომლებიც ჯერ კიდევ საწყის სტადიაზე არიან.

***— აქამდე ეკონომიკური ზრდა შეადგენდა 9-11%-ს, მაგრამ როგორც პროგრამის წარდგენისას თქვით, ბოლო წელს ეს იქნება 8-11%. რატომ მოხდა შემცირება?***

— 1%-ით ზღვარის დაბლა დაწევა არ ნიშნავს, რომ ჩვენ განვითარების ტემპის შემცირებას ვაპირებთ ან ასეთია ჩვენი მოლოდინი. ბოლო სამი წლის მანძილზე ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი იყო 9.4%. დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს წლებში ჩვენ ასევე შევძლებთ ამ დონის შენარჩუნებას. ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან სწრაფად ცვალებად ეპოქაში და ჩვენს პროგნოზებში არ შეგვეძლო არ გაგვეთვალისწინებინა საგარეო გამოწვევები, რაც განპირობებულია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ფაქტორებით და სწორედ ეს გახდა მიზნობრივი მაჩვენებლის გადახედვის ძირითადი მიზეზი.

***— უახლოეს წლებში იგეგმება ასევე ინვესტიციების 10-15%-იანი ზრდა და ექსპორტის მოცულობის ზრდა. კონკრეტულად რომელ სფეროში ელოდებით ინვესტიციების ზრდას და საიდან? რის ხარჯზე უნდა გაიზარდოს ექსპორტის მოცულობა, რა საქონელი გავა ექსპორტზე?***

— ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ეკონომიკის საინვესტიციო მიმზიდველობის დონის გაზრდა. უახლოეს წლებში ჩვენ ველოდებით ინვესტიციებს ყველა სფეროში, კერძოდ, ენერგეტიკის სფეროში, სამთო მოპოვებით მრეწველობაში, მსუბუქ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეთევზეობაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაში, ურბანულ განვითარებაში.

ცხადია, რომ საინვესტიციო პროგრამის ნაწილი იქნება მიმართული ექსპორტისკენ, რის ხარჯზეც გაიზრდება იმპორტის მოცულობა. ეს ეხება სამთო მოპოვებით მრეწველობას და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებას. სერიოზული ყურადღება დაეთმობა ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებას, რაც აუცილებელია იმ თვალსაზრისით, რომ მოთხოვნა იზრდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე.

***— თქვენი აზრით, რა გავლენას ახდენს სომხეთის ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრობა ყარაბაღის ეკონომიკის განვითარებაზე და რაში გამოიხატება ეს? რა მოლოდინი გაქვთ ამ კონტექსტში ექსპორტთან დაკავშირებით?***

— იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ გარე სამყაროსთან ძირითადად სომხეთის რესპუბლიკის საშუალებით ურთიერთობს, უნდა ველოდოთ, რომ ჩვენც იმას მივიღებთ, რასაც — სომხეთი. ექსპორტის ასპექტში ჩვენ ველოდებით შესაძლებლობების გაფართოებას.

ეჭვგარეშეა, არის გაურკვევლობებიც და განვითარების ახალი შესაძლებლობები. არავის შეუძლია ასე მოკლე პერიოდში ერთმნიშვნელოვნად ყველა შედეგის პროგნოზირება, რამდენადაც ეს საინტეგრაციო გზა მრავალდონიანი და კომპლექსური პროცესია. ზოგადი დაკვირვებით, ყარაბაღის წარმოების პროდუქტებისთვის შეიქმნება სერიოზული შესაძლებლობები, რადგან ამ დროისთვის ამ საქონლის ექსპორტი ხორციელდება რუსეთის ბაზარზე. ცხადია, ეს იმ საქონლის ფასებზეც მოახდენს გავლენას, რაც საბაჟო კავშირის ქვეყნებიდან შემოდის. აღსანიშნავია, რომ პირველადი მოხმარების საგნების ძირითადი ნაწილი შემოდის საბაჟო კავშირის ბაზრებიდან და ეს ნიშნავს, რომ მათზე ფასების დაწევა პოზიტიურად იმოქმედებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე.

ძირითად ნეგატიურ შედეგად შეიძლება განვიხილოთ ის, რომ გაძვირდება ის პროდუქტები, რომელთა იმპორტი ხორციელდება საბაჟო კავშირის არაწევრი ქვეყნებიდან. ცალსახაა, რომ მათი შეწონილი ფასი ბევრად იაფი იქნება საბაჟო კავშირის ბაზარზე საქონელბრუნვასთან შედარებით.

***— რა ბარიერებს და წინააღმდეგობას ხედავთ, რაც ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას და როგორ შეიძლება მათი გადალახვა?***

— წინააღმდეგობები ყოველთვის იყო და იქნება. ყველაზე რთულად დაძლევადი წინააღმდეგობაა ჩვენი სახელმწიფოს აუღიარებლობა. ეს არის ფაქტორი, რომელიც ართულებს ეკონომიკური განვითარების პროცესს, ნეგატიურად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. არის სირთულეები, რაც უკავშირდება ბუნებრივ მოვლენებს, სატრანსპორტო გზებზე შეზღუდვებს, ვალუტის კურსის რყევას და სხვა ფაქტორებს. ზოგიერთი მათგანის გადასალახავად ჩვენ უკვე კარგად დამუშავებული საშუალებები გვაქვს, სხვებისთვის კი ვიპოვით გამოსავალს, სისტემური კვლევების და სიტუაციური ანალიზის ჩატარების გზით.

***— და ბოლო შეკითხვა — როგორ წარმოგიდგენიათ ყარაბაღი 10 წლის შემდეგ და როგორია ეკონომიკური განვითარების თქვენეული ხედვა?***

— ვისურვებდი, რომ 10 წლის შემდეგ ყარაბაღი მენახა, როგორც დე იურე დამოუკიდებელი და საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სახელმწიფო. რაც შეეხება ეკონომიკურ ხედვას, ეს არის სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი მრეწველობის ინტენსიური განვითარება, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და შესაბამისი სპეციალისტები მენეჯმენტში, სამეწარმეო და ბიზნესინფრასტრუქტურის განვითარება, ენერგეტიკული და სავაჭრო დამოუკიდებლობის მაღალი დონე, იმპორტზე მზარდი ექსპორტის ტემპი, მოსახლეობის ფულადი შესამოვლების მაღალი დონე, ლამაზი და კეთილმოწყობილი ქალაქები და სოფლები.

ნეტგაზეთი

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების — სასმენი ნერვის ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტის, ყნოსვის დაქვეითების და დაკარგვის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ოტიტის, წითელი ქარისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. თუ განკურნებისთვის მზად ხართ, დაგვიკავ-შირდით. ფასი შეთანხ-მებით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● ექიმი-სპეციალისტი ვმკურ-ნალობ კარგი შედეგით მამაკა-ცებში სათესლე ჯირკ-ვლების, ასოს, შარდსადინარისა და პროს-ტატის ყველა ფორმის დაავადებას, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს საიმედო „ერექტორები". კონსულტაციები უფასო. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ ვაზიანში (მუხრანთან ახლოს, თბილისიდან 35კმ-ში) 2000 კვ.მ. ხეხილიანი, შემოსაზღვრული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სინათლე, წყალი, გაზი, ახლოსაა. 1.კვ.მ-ს ფასი 2,5 დოლარი. ტელ: 0790-90-32-96; 568-657-486 ალექსანდრე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533, ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების—სასმენი ნერვის ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტის, ყნოსვის დაქვეითების და დაკარგვის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ოტიტის, წითელი ქარისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში.თუ განკურნებისთვის მზად ხართ, დაგვიკავშირდით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● ექიმი-სპეციალისტი ვმკურნალობ კარგი შედეგით მამაკაცებში სათესლე ჯირკვლების, ასოს, შარდსადინარისა და პროსტატის ყველა ფორმის დაავადებას, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს საიმედო „ერექტორები". კონსულტაციები უფასო. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

## სპორტი

# 17 წლამდე ნაკრებმა ყაზახეთი გაანადგურა

საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა ყაზახეთის „პრეზიდენტის თასზე" მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენმა ნაკრებმა ყაზახეთის 17-წლამდე ნაკრები მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ხმაურიანი ანგარიშით — 8:1 დაამარცხა. რა თქმა უნდა, ამ გადასახედიდან უფრო სამწუხაროა, რომ ფინალში ერთი ყვითელი ბარათის გამო ვერ მოვხვდით.

ყაზახთა რბევა ლევან ბარაბაძემ უკვე მე-2 წუთზე გატანილი გოლით დაიწყო. ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ყოველ 10-15 წუთში ყაზახთა მეკარეს ბურთი საკუთარი კარიდან გამოჰქონდა. ბარაბაძემ — დუბლი, ქავთარაძემ კი ჰეთ-ტრიკი შეასრულა, ამასთან, 68-ე წუთზე გიორგი ჩაკვეტაძემ თერთმეტმეტრიანი გააფუჭა.

კარლეს მარტორელი, ყაზახეთის მთავარი მწვრთნელი:

— სწრაფი გოლი გავუშვით და, მიუხედავად იმისა, რომ თამაშის გადაწყობა ვცადეთ, ეს არ გამოგვივიდა. საქართველოს ნაკრები აშკარად ჩვენზე ძლიერი იყო.

**გოჩა ავსაჯანიშვილი, საქართველოს მთავარი მწვრთნელი:**

— ჩვენ ფინალში სათამაშოდ ვიყავით მზად, თუმცა ერთმა „ყვითელმა" მესამე ადგილზე გადაგვისროლა. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ და მიჭირს ამ ყველაფრის გაგება. აგვისტოში ტურნირი გვაქვს პოლონეთში, სადაც ასევე კარგ გუნდებს შევხვდებით და დავინახავთ, რეალურად რა შეუძლიათ ჩვენს ბიჭებს. ახლა ამ ტურნირზე ერთი ცენტრალური ნახევარმცველი გვაკლდა ტრავმის გამო. ამ გუნდთან უკვე სამი წელია ვმუშაობ და, ვფიქრობ, ოქტომბრის ევროშესარჩევისთვის მზად ვიქნებით.

საქართველო 17 წლამდე ნაკრებმა ყაზახეთთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კერესელიძე, ვირუბოვი (კიკალიშვილი 41), ასათიანი, კასრელიშვილი, ხარაბაძე (ნიკოლეიშვილი 41), ბარაბაძე, ნინუა (ქიმერიძე 41), კოპლატაძე, ლურსმანაშვილი (სპანდერაშვილი 41), ჩაკვეტაძე, ქავთარაძე (ოზბეთელაშვილი 33).

მოამზადა მიხეილ ყორყელიანმა

## კვალიფიციური იურიდიული მომსახურება

**თქვენი უფლებების დაცვა სასამართლოში, ფიზიკურ პირებთან და ნებისმიერ სხვა სისტემაში:** იპოთეკასთან, უძრავ-მოძრავ ქონებასთან, მემკვიდრეობასთან, განქორწინებასთან, ალიმენტთან, სესხთან, დაუკანონებელ ქონებასთან (სახლი, მიწა) დაკავშირებული პრობლემები და დავები. **ასევე ერთჯერადი დახმარება:** განცხადების, საჩივრის, სარჩელის, შესაგებელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრის მომზადება. ნებისმიერი სახისა და სირთულის ხელშეკრულებების გაფორმება. ასევე ვემსახურებით იურიდიულ პირებს. ☎ 558-23-14-62.

# ბათუმის „დინამო“ უცხოურ შეკრებას ასრულებს, „დილა“ იწყებს

საქართველოს ვიცეჩემპიონმა, ბათუმის „დინამომ“, რომელიც ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ნიქოზიის „ომონიასთან“ გასამართი მატჩისთვის თურქეთში ემზადება, მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ეს ზღვისპირელებისთვის მესამე სპარინგი იყო და ამჯერად, წინა ორისგან განსხვავებით, დამარცხდნენ.

„დინამოს“ მეტოქე რუსეთის პრემიერლიგის ბინადარი, პერმის „ამკარი“ გახლდათ. მატჩის ბედი კი 81-ე წუთზე გადაწყდა, როცა რუსების გათამაშებული კუთხური ქართული წარმომავლობის, მაგრამ რუსეთის მოქალაქეობის მქონე მცველმა გიორგი ჯიქიამ დაასრულა.

„დინამო“ კარტეპეში კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს, რის შემდგომაც სამშობლოში დაბრუნდება და 2 ივლისს ზესტაფონში, დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე „ომონიას“ უმასპინძლებს.

საქართველოს ჩემპიონი „დილა“ კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ორი კვირის განმავლობაში თურქეთში მოემზადება და 14 ივლისს პირდაპირ ბელგრადში გაემგზავრება, სადაც გასვლით შეხვედრას ადგილობრივი „პარტიზანის“ წინააღმდეგ გამართავს.

გუნდი საკმაოდ კარგად დაბინავდა. დაგეგმილია ამხანაგური შეხვედრები, რომელთა ზუსტი თარიღი და მოწინააღმდეგე გუნდების ვინაობა მალე გახდება ცნობილი.

თურქეთში შემდეგი ფეხბურთელები გაემგზავრნენ: მარიამიძე, მუჯრიშვილი, ქარქუზაშვილი, კვირკველია, ბაგაევი, კვახაძე, ღონღაძე, ხურცილავა, დუდუჩავა, ლომიძე, სამხარაძე, ფალავანდიშვილი, რაზმაძე, წიქარიძე, გვალია, ახალკაცი, ძარია, კვირკვია, გორელიშვილი, ერისთავი, ილურიძე, მარცვალაძე, მოდებაძე, მაშუკოვი.

გუნდს თურქეთში შეუერთდნენ გიორგი ნავალოვსკი, რომელსაც ქართველი გულშემატკივარი ბოლო სანაკრებო მატჩებიდან კარგად იცნობს და 22 წლის ცენტრალური ნახევარმცველი გიორგი პაპავა, რომელიც თბილისის „დინამოში“ გამოდიოდა, ხოლო ბოლო 6 თვის განმავლობაში კვიპროსულ „ნეა სალამისაში“ გახლდათ. პაპავას არაერთი შეხვედრა აქვს საქართველოს 21 წლამდე ნაკრებში ჩატარებული და ასევე ეროვნულ ნაკრებშიც გახლდათ გამოძახებული.

ასევე გუნდს შეუერთდა კიევის „დინამოს“ ერთ-ერთი მეკარე ალექსეი შევჩენკო, რომელიც გასრულებული ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეში ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა.

გიორგი ნავალოვსკიმ, გიორგი პაპავამ და გუგა ფალავანდიშვილმა ინდივიდუალურად ივარჯიშეს.

# 20-წლამდელთა ნაკრებმა ლატვიაში ბელარუსთან ბრძოლაში წააგო

ლატვიაში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა პირველი სპარინგ-მატჩი გამართა. დავით უსტიაშვილის გუნდის მეტოქე საკმაოდ ძლიერი ბელარუსი იყო, რომელსაც გასულ წელს ა დივიზიონში გადასვლამდე 1 ნაბიჯი დააკლდა. ბელარუსებმა 2014 წლის ბ დივიზიონში მე-4 ადგილი დაიკავეს, საუკეთესო სამეულმა — ბოსნიამ, ბელგიამ და უკრაინამ კი ელიტაში ადგილი მოიპოვეს.

საქართველომ მძლავრ მეტოქესთან მატჩი საკმაოდ კარგად ჩაატარა და უმეტესწილად იგებდა. ბოლო პერიოდის წინ ქართველები 61:59 იგებდნენ და ლიდერობას შეხვედრის ბოლო მეოთხედშიც ინარჩუნებდნენ. დაძაბული დასკვნითი წუთების შემდეგ ბელარუსებმა 4 ქულით გამარჯვება მოახერხეს — 77:74.

საქართველოს ნაკრებში 13-13 ქულით საუკეთესოები იყვნენ კახა ტომარაძე და ნუგზარ აბულაძე. 12 ქულა და 5 პასი მიითვალა ლუკა ზაქრაძემ, 10 ქულა და 7 მოხსნა ლევან მასხულიას ანგარიშზეა. 20 წუთში 8 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა გიორგი ტურძილაძემ.

ქალაქ მადონაში შეკრებაზე მყოფი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები მორიგ სპარინგ მატჩს კიდევ უფრო ძლიერ ლატვიის ნაკრებთან გამართავს.

# კოპა ამერიკაზე ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ



**არგენტინა — კოლუმბია 0:0 (5:4პ)**

დაძაბული და დრამატული გამოდგა მეოთხედფინალური მატჩი კოპა ამერიკის თასზე არგენტინისა და კოლუმბიის ნაკრებებს შორის.

ალბათ, ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივარი უკმაყოფილო დარჩა მატჩის მიმდინარეობით, რადგან ორივე გუნდის შესრულებით „სპექტაკლს“ ელოდა, მაგრამ ფეხბურთი მხოლოდ არგენტინელებმა აჩვენეს, ხოლო კოლუმბიელები ცდილობდნენ, მათი შეტევები ჩაეშალათ და არც კონტრშეტევებზე უფიქრიათ.

გასაოცარი ის იყო, რომ 90 წუთი გამარჯვებული არ გამოვლინდა, ხოლო უხეშობის ფონზე გუნდებმა წითელი ბარათის გარეშე ჩაამთავრეს შეხვედრა. ხოსე პეკერმანის გუნდს ამის შანსი არ ჰქონია, ხოლო არგენტინელებმა უამრავი მომენტი გააფუჭეს. საოცრებებს ჩადიოდა კარში დავიდ ოსპინა, რომელიც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად იქნა დასახელებული.

კოპა ამერიკის თასზე დამატებითი დრო მხოლოდ ფინალში ინიშნება, ამიტომ 90 წუთის ამოწურვისთანავე პენალტების სერია დაინიშნა, სადაც უფრო ზუსტნი არგენტინელები აღმოჩნდნენ. ხერარდო მარტინოს გუნდს გამარჯვება კარლოს ტევესმა მოუტანა, თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პენალტების სერიაშიც კი დიდხანს გაგრძელდა დაძაბულობა.

3-3 ზუსტი დარტყმის შემდეგ კოლუმბიელმა მურიელმა ააცილა, მაგრამ არგენტინელებს ზეიმი ბილიამ გადაუდო, რომლის დარტყმულიც კარს მიღმა წავიდა — ეს არგენტინელების ბოლო, მე-5 პენალტი იყო.

მეექვსე დარტყმა გააცუდეს ზუნიგამ და როხომ, მეშვიდე უკვე მურილიომ ააცილა, ხოლო ტევესის 11 მეტრიდან დარტყმული ოსპინამ ვეღარ მოიგერია.

**ბოლივია — პერუ 1:3**

წყვილის ფავორიტი პერუ იყო, რაც საქმითაც დაამტკიცა. პაოლო გერერომ პირველივე წუთებიდანვე დაიწყო ბოლივიელთა კარის დაბომბვა და ეს საბოლოოდ სამჯერ მოახერხა. მხოლოდ ამის შემდეგ დათმო მოედნის ცენტრი პერუმ და კონტრშეტევებზე ააწყო თამაში. თუმცა, მთელი მატჩის განმავლობაში ზუსტად თამაშობდა და სადავეები ხელიდან არ გაჰქცევია, აკონტროლებდა სიტუაციას და უამრავი მომენტი შექმნა.



მატჩის ბოლოს მარსელო მორენომ პენალტით გაიტანა, მაგრამ ბოლივიელებმა მეტის გაკეთება ვერ მოახერხეს.

აღსანიშნავია, რომ 31 წლის გერეროს ეროვნულ ნაკრებში 24 გატანილი გოლი დაუგროვდა, პერუს ეროვნული ნაკრების საუკეთესო ბომბარდირთა სიაში თეოდორო ფერნანდესს გაუთანაბრდა, მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ლიდერ ტეოფილო კუბილიასს (26) ჩამორჩება.

ცხადია, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელიც გერერო გახდა.

**ბრაზილია — პარაგვაი 1:1 (3:4პ)**

4 წლის წინანდელი დეჟავიუ — პარაგვაიმ ისევ მეოთხედფინალიდან დაიფრინა ბრაზილია. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონები პენალტების სერიის შემდეგ სამშობლოში ბრუნდებიან, ხოლო პარაგვაი ნახევარფინალში არგენტინას შეხვდება.

დიახ, ნეიმარის გარეშე ბრაზილიის ნაკრები სხვა გუნდია. კოუტინიუც ცდილობდა, ფირმინიოც, რობინიომ საერთოდ გოლი გაიტანა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — პარაგვაელთა პრაგმატულმა ფეხბურთმა მონდომებას აჯობა.

დიასის შეგირდებმა დასაწყისში გაუშვეს, მაგრამ მატჩი შემოატრიალეს. მართალია, ეს დიდი ძალისხმევის შედეგად მოახერხეს, მაგრამ სენსაციის მოხდენა შეძლეს.

პარაგვაიმ დაიმსახურა გამარჯვება — მთელი ტურნირის მანძილზე ერთიანი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ, რასაც ვერ ვიტყვით პენტაკამპეონებზე. ამ ტურნირმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფეხბურთში მოგება ყველას შეუძლია, მთავარი მონდომებაა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დერლის გონსალესი აღიარეს, რომელმაც პენალტი ჯერ ძირითად დროში გაიტანა, შემდეგ კი მატჩის შემდგომ სერიაში თავისი გუნდის გამარჯვებას წერტილი დაუსვა.

მაშ ასე, კოპა ამერიკის ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან: არგენტინა-პარაგვაი და ჩილე-პერუ.

# საქართველო პირველი ევროპული თამაშებიდან 2 ოქროთი ბრუნდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბექა ღვინიაშვილის წინ ტატამზე ალექსანდრ ჟურეჩკა დადგა და წუთ-ნახევარი გაძლო — 4:0.

ლევან მატიაშვილისა და მიხალ ჰორაკის თანაბარ ბრძოლაში ჩვენებურმა ბოლოში ჩეხი იპონზე მოისროლა — 5:0.

ნახევარფინალში მეტოქედ უნგრეთი გვერგო და პირველად ტატამზე პაპინაშვილი-ორი გამოჩნდა. ორი წუთის თავზე ჩვენებურმა შესანიშნავი გდება გაუკეთა მეტოქეს და მსაჯმაც ბრძოლა შეწყვიტა.

ტატალაშვილი-ზამბორის ჭიდაობა კი უფრო ნაკლებ დროს გაგრძელდა — ჩვენებურმა მეტოქე შებოჭა და სუფთად იმარჯვა — 2:0.

ჭრიკიშვილმა მხოლოდ ვაზარი აკმარა ჩოკნიაის, მაგრამ დანარჩენ ორ ბრძოლას აზრი დაუკარგა — 3:0.

და მაინც, ღვინიაშვილმა წუთ-ნახევარში მოუგო ვერს, ხოლო ოქრუაშვილმა ვაზარით — ბორს და ისევ 5:0.

ფინალი პაპინაშვილმა და კორვალმა გახსნეს: დასაწყისში ორივე ძიუდოისტი გააფრთხილეს პასიურობისთვის, შემდეგ მარტო პაპინაშვილი, ბოლოს კი ერთი წონით მაღალმა ფრანგმა სუფთა გამარჯვება მოიპოვა.

მეორე ჯერზე ტატამზე ერთმანეთის პირისპირ ტატალაშვილი და დუპრე წარდგნენ. აქტიური, მაგრამ უილეთო ჭიდაობა დამატებით დროში ოქროს ქულამდე გაგრძელდა. იქ კი პირველი იუკო დუპრემ აიღო და საქართველო 0:2 ჩამორჩა.

ჭრიკიშვილი-პიეტრის წყვილში ქართველს წაგების უფლება არ ჰქონდა. ჭიდაობის შუაში ფრანგმა იუკო შეასრულა. შემდეგ ფრანგი ჭიდაობას გაურბოდა, მსაჯებმა სამჯერ გაფრთხილება მოასწრეს და საბოლოოდ გუნდური ოქრო ფრანგებს დარჩათ.

შემდეგ ბრძოლებს აზრი აღარ ჰქონდა: ლიპარტელიანს მეტოქე არ გამოუცხადდა, ხოლო ოქრუაშვილმა წააგო და საბოლოოდ — 1:4.

ვერცხლი მოიპოვა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლიპარტელიანმა, რომელმაც მეთექვსმეტედფინალში უნგრელი გაბორ ვერი დაამარცხა იპონით, მერვედფინალში, ასევე იპონით, ესპანეთის გუნდის წევრ ნიკოლოზ შერაზადიშვილს აჯობა, მეოთხედფინალში სლოვენ მიხაელ ზგანკს ვაზარით მოუგო, ნახევარფინალში — ღვინიანიძეს იპონით, ფინალში კი ხელი მოეცარა რუსეთის გუნდის წევრ კირილ დენისოვთან.

მსაჯობამ გარკვეული დაღი 73 კილოგრამ წონითი კატეგორიის ფინალს დააჩნია, სადაც კიდევ ერთი ქართველი ძიუდოისტი გამოდიოდა. ლაპარაკია ნუგზარ ტატალაშვილისა და ისრაელის გუნდის წევრ საგი მუკის ორთაბრძოლაზე, როდესაც ნუგზარს ერთ წუთში ცოტა გაუგებარი სამი შიდო ანუ გაფრთხილება მისცეს. საბოლოოდ, ტატალაშვილი იპონით დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა, თუმცა, ბუნებრივია, ევროპულ თამაშებზე არც ვერცხლის მედალს დაეწუნება რამე.

ტატალაშვილმა ფრანგ ფლორან ურანის დამარცხებით დაიწყო, შემდეგ სერბ ლუბიშა კოვაჩევიჩს შეხვდა და სუფთად გაიმარჯვა. კოვაჩევიჩის შემდეგ ტატალაშვილი სლოვენ როკ დრაკშიჩს დაეჭიდა — გამარჯვება ერთი გაფრთხილებით ქართველს დარჩა, თუმცა ამ ორთაბრძოლაში მეტოქემ მას სახეში მიარტყა, რის გამოც ნუგზარისთვის ექიმებს სისხლის შეჩერება დასჭირდათ და კიდევ ერთი: ტატამზე დაბრუნებულმა ტატალაშვილმა დრაკშიჩს გდება ჩაუტარა, რომელიც მსაჯებმა არ ჩათვალეს. ნახევარფინალში კი ჩვენმა ძიუდოისტმა ბელგიელ დირკ ვან ტიშელტს ვაზარით აჯობა და ფინალში გავიდა, რომელზეც უკვე გიამბეთ.

მედალი 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ამირან პაპინაშვილმაც მოიპოვა — მას ბრინჯაო ერგო.

პაპინაშვილი თავიდან რუმინელი ამადო ლაზეასა და ისრაელის გუნდის წევრის არტიომ არშანსკის ორთაბრძოლის შედეგს ელოდა — ამ წყვილში მისი მეტოქის ვინაობა ირკვეოდა. არშანსკიმ რუმინელს წამებში მოუთავა საქმე და შემდეგ ეტაპზე ქართველ ძიუდოისტს დაეჭიდა, მაგრამ დამარცხდა. ამირანის შემდეგი ბარიერი კი ჰოლანდიელი ჟერონ მურენი გახლდათ, რომელიც ჩვენმა სპორტსმენმა, სამწუხაროდ, ვერ გადალახა. საინტერესო ის არის, რომ საბოლოოდ ქართველმა ბრინჯაო მოიგო, ჰოლანდიელი კი უმედლოდ დარჩა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ოქროსკენ მიმავალი გზა პაპინაშვილს სწორედ მურენმა ჩაუხერგა.

რეპეშაჟში ამირანმა ჯერ გერმანელ ტობიას ენგლმაიერს აჯობა, ხოლო მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ფრანსისკო გარიგოსი დაამარცხა.

მატიაშვილმა მერვედფინალში იპონით აჯობა აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე უშანგი კოკაურს, მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონ ადამ ოქრუაშვილთან იუკოთი დამარცხდა, რეპეშაჟის პირველ შეხვედრაში გერმანელ ანდრე ბრაიტბარტთან გაიმარჯვა, ბრინჯაოსთვის რუსეთის წარმომადგენელ რენატ საიდოვსვერ აჯობა, იუკოთი წააგო.

ღვინიაშვილმა მეთექვსმეტედფინალიდან დაიწყო. თავიდან იპონით დაამარცხა თურქი ბატუჰან ეფემგილი, შემდეგ სუფთადვე აჯობა სერბ დმიტრი გერასიმენკოს, მათ ასევე მიყოლა ჰოლანდიელი გილაუმე ელმონტი... აი, შემდეგ კი ქართველებთან — ვარლამ ლიპარტელიანთან და საბერძნეთის დროშის ქვეშ მოასპარეზე ილიას ილიადისთან ანუ იმავე ჯარჯი ზვიადაურთან დამარცხდა.

73 კილოგრამ წონით კატეგორიაში არ გაუმართლა ლაშა შავდათუაშვილს, რომელიც ოცდამეთორმეტედფინალში ფრანგ პიერ დუპრატთან იუკოთი დამარცხდა და ვინაიდან ძიუდოში რეპეშაჟში მოსახვედრად მეოთხედფინალამდე უნდა მიხვიდე, შეჯიბრებას გამოეთიშა.

ჭრიკიშვილის წონაში იღბალმა ზურგი აქცია უშანგი მარგიანს. მან მეთექვსმეტედფინალში იპონით მოუგო სლოვაკ მატუს მილიჩოვსკის, მაგრამ მერვედფინალში გერმანელ ალექსანდერ ვეცერზაკთან მახრჩობელა ილეთზე წამოეგო.

ქალ ძიუდოისტთა ამბავი კი ასე გახლდათ: 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ნაკრების სახელით მოასპარეზე ჰოლანდიელმა ესტერ სტამმა მეთექვსმეტედფინალში იტალიელ ჯულია კანტონის ერთი გაფრთხილებით მოუგო, მაგრამ ბრიტანელ სალი კონვეისთან ვერაფერს გახდა და იპონით წააგო.

იმავე წონაში ნინო ოძელაშვილი ბელგიელ ლოლა მანსურთან დამარცხდა.

რაც შეეხება მოფარიკავე თეოდორა კახიანს, მან ხმლით ჯგუფში ხუთი შეხვედრიდან ოთხი წააგო და შემდეგ ეტაპზე ვერ გადავიდა.

ცურვაში გიორგი ბიგანიშვილმა 200 მეტრი თავისუფალი სტილით 2:01.01-ში გაცურა და 52-ე ადგილი დაიკავა, ხოლო აკაკი ვაშაკიძემ 100 მეტრზე ბატერფლაით 36-ე შედეგი აჩვენა — 56,60.

ბიგანიშვილმა ბედი სხვა დისციპლინაშიც ცადა — 50 მეტრი თავისუფალი სტილით 24,86 წამში ჩაამთავრა და საკვალიფიკაციო ეტაპზე 54-ე ადგილი დაიკავა, ხოლო ჯუდერ ბიჩიკაშვილმა 25,06 წამით 57-ე პოზიცია დაიკავა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, აჟურობა [illegible] ... 100%-იანი. [illegible] — 3.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამედიცინო ცენტრის შენობა, 1-ლი სართ., ბან. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარინა

# მანდარინებს“ ევროპარლამენტსა და გაეროში აჩვენებენ



ზაზა ურუშაძის „მანდარინებს“ ევროპარლამენტსა და გაეროში აჩვენებენ. ევროპარლამენტში ფილმის ჩვენება 29 ივნისს არის დაგეგმილი, 2 თვის შემდეგ კი „მანდარინებს“ გაეროშიც ნახავენ.

**ზაზა ურუშაძე, ფილმის რეჟისორი:**

— ფილმის შესახებ მრავალი შეფასება გაკეთებულა. ერთ-ერთის მიხედვით, „მანდარინებმა“ მშვიდობის მიმართულებით პოლიტიკოსებზე მეტის გაკეთება შეძლო. ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, მნიშვნელოვანია ის ჰუმანური მესიჯი, რომელიც ფილმში დევს. ფილმის საერთაშორისო წარმატების გარდა, ალბათ, სწორედ ეს ჰუმანური გზავნილია ის, რითიც „მანდარინებმა“ ევროპარლამენტისა და გაეროს ყურადღება მიიპყრო.

ესპანეთის შემდეგ „მანდარინები“ საბერძნეთის კინოგაქირავების ლიდერია. ფილმის ჩაშვებიდან პირველივე უიქენდზე მან გაყიდვის მხრივ ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა.

„მანდარინები“ სულ მალე საფრანგეთის, თურქეთის, ლათინური ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და ავსტრალიის კინოთეატრებშიც გამოვა.

ეკა ირემაშვილი

# ნიკოლოზ რაჭველმა პრეზენტაცია გადადო

მაესტრო ნიკოლოზ რაჭველმა 27 ივნისს დაგეგმილი პრეზენტაცია გადადო. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში უნდა გამართულიყო ღონისძიება, რომელზეც კომპოზიტორი საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარმოადგენდა ორკესტრის ახალგაზრდული კამერული ანსამბლების პრეზენტაცია-კონცერტს.

მსმენელის წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ ჩასაბერი, სიმებიანი და დასარტყამი ინსტრუმენტებისგან შემდგარი კოლექტივები, მათთან ერთად სოლისტი ალტისტი გიორგი ცაგარელი. საკონცერტო პროგრამაში უნდა შესრულებულიყო რიჰარდ შტრაუსის, რიჰარდ ვაგნერის, სულხან ნასიძისა და გია ყანჩელის ნაწარმოებები.

როგორც ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ნახუცრიშვილი აცხადებს, დაგეგმილი ღონისძიება ნიკოლოზ რაჭველმა მოხსნა და სექტემბრისთვის გადადო.

ეკა ირემაშვილი

# ქეთევან კიკნაძე გიორგი გასვიანს მიმართავს

მსახიობი ქეთევან კიკნაძე თავის ახალგაზრდა კოლეგა გიორგი გასვიანს მიმართავს. ის სოციალურ ქსელში სპეციალურ განცხადებას ავრცელებს:

— ინგა გრიგოლიას გადაცემაში იჯდა მსახიობი, რომელსაც არ ვიცნობ, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. მივმართავ მას, რათა სწორად გაერკვეს მომხდარ სიტუაციაში. 1967 წელს მოხდა განხეთქილება მარჯანიშვილის თეატრში, რომ არ მომხდარიყო დაპირისპირება, ახალგაზრდათა ჯგუფი წავიდა თეატრიდან და მოღვაწეობა დაიწყო რუსთავის თეატრში. ჩვენ, ახალგაზრდებს, როგორც ეს ხდება ხოლმე, არ გვიკადრებია მათთვის, თქვენ მიბრძანდით-მეთქი. არამედ ჩვენ დავთმეთ. ისინი დიდი მსახიობები იყვნენ, თანაც — ხანდაზმულები. ამით არაფერი წაგვიგია, პირიქით, მოძლიერებული დავბრუნდით ისევ მარჯანიშვილის თეატრში, ხოლო დაფუძნებული თეატრი არსებობას განაგრძობს. დღეს იგი გიგა ლორთქიფანიძის სახელობისაა. კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, ნათქვამია. საერთოდ, როცა ადამიანს პასუხობთ, ის იქვე უნდა იმყოფებოდეს. სხვანაირად ეს უტაქტობაა. პატივისცემითა და ბოდიშის მოხდით, ქეთევან კიკნაძე.

ეკა ირემაშვილი

## fcnhjghjuyjpb

29 ივნისისთვის



**ვერძი** — ჰარმონიული დღეა, შესაფერისი პერიოდი აქტიური და შინაარსიანი დასვენებისათვის. ნებისმიერ საქმეს დღეს თავს იოლად გაართმევთ. მზად იყავით რომანტიკული თავგადასავლებისა და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. **კურო** — ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას, რისკი გამართლებული არ არის. **ტყუპები** — დღეს, უმჯობესია, პირადი ცხოვრებით დაკავდეთ, ასევე იზრუნოთ ჯანმრთელობაზე. მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. **კირჩხიბი** — ფინანსური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ, თუმცა — მხოლოდ მძიმე შრომის შედეგად. საღამოს დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით. **ლომი** — ერიდეთ პარტნიორთან კონფლიქტს. ქალი ლომებისთვის კარგი პერიოდია მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. **ქალწული** — ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. განსაკუთრებით ერიდეთ კონფლიქტს საქმიან პარტნიორებთან. **სასწორი** — რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **ღრიანკალი** — პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება გელით. შესაძლოა, შეყვარებულს დაშორდეთ. ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. **მშვილდოსანი** — დღეს, უმჯობესია, პირად ცხოვრებას მიხედოთ, ასევე იზრუნოთ ჯანმრთელობაზე. მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. **თხის რქა** — გაგიმახვილდებათ ინტუიცია. მოუსმინეთ შინაგან ხმას და ისე იმოქმედეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება არ ღირს. **მერწყული** — აქტიური და შემოქმედებითი დღეა. გაგიმართლებთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერაში. საღამოს დიდი ხნის უნახავი მეგობარი მოგინახულებთ. **თევზები** — იმედგაცრუება გელით. გრძნობებს ნუ აჰყვებით. ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით კი ბავშვებს, მეტი ყურადღება მიაქციეთ.

უბცეჰ3ეტ.ს ,ტცყბტ3 ცქცს=

# ხარაგაულში რეზო თაბუკაშვილის ბიუსტი გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

ხარაგაულში მწერლის, დრამატურგისა და რეჟისორის რეზო თაბუკაშვილის ბიუსტი გაიხსნა.

მშობლიურ ქალაქში ხელოვანის სახელობის სახალხო თეატრის 20 წლის იუბილეც აღინიშნა. ხარაგაულის თეატრში რეზო თაბუკაშვილისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლი გაიმართა, რომელსაც მწერლის ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თეატრის შენობის წინ კი ქართველი დოკუმენტალისტისა და საზოგადო მოღვაწის ბიუსტი გაიხსნა.

რეზო თაბუკაშვილის პიესები ქართული თეატრების სცენებზე იდგმებოდა. მისი სცენარებით კი არაერთი ცნობილი ქართული ფილმია გადაღებული. სწორედ რეზო თაბუკაშვილის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით დაუბრუნდა საქართველოს მსოფლიოს სხვადასხვა წიგნთსაცავებსა და არქივებში გაბნეული ხელნაწერები, დოკუმენტები და ფოტომასალები.

სიცოცხლის ბოლო ათწლეულში მან დაიწყო დოკუმენტური ფილმების გადაღება. რეზო თაბუკაშვილი 63 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

# ჯემალ ბაღაშვილი: ვიღაცამ ჩემი სახელით ფეისბუქგვერდი გახსნა“

ანსამბლ „ივერიის“ უცვლელი წევრი და შოუბიზნეს ცენტრ „ლომისის“ ხელმძღვანელი ჯემალ ბაღაშვილი სპეციალურ მიმართვას ავრცელებს. ხელოვანი საზოგადოებას ურჩევს, არ დაიჯერონ ის ტყუილები, რაც მისი სახელით სოციალურ ქსელში ვრცელდება:

**ჯემალ ბაღაშვილი:**

— სულ ახლახან შევიტყვე, რომ ჩემი სახელით გახსნილია ფეისბუქ გვერდი ჩემივე სურათით და უამრავი მეგობრით. თუ არ ვცდები, 2.300-ზე მეტი მეგობარია. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ფეიბუქ გვერდი გახლავთ ყალბი, ვინაიდან არც მანამდე და არც ახლა, მე ფეისბუქ გვერდი არ მქონია. მათ საყურადღებოდ, ვისაც ჩემთან დაკავშირება გსურთ, შემოგვიერდით ფეისბუქ გვერდებზე „იუმორინა“ ან „სტუმრად იუმორინასთან“.

ეკა ირემაშვილი

# ქართულ ანსამბლს ბულგარეთში გრანპრი მიანიჭეს

ეკა ირემაშვილი

კომპანია მეტეხი და ბავშვთა ნაციონალური ბალეტის პატარა ვარსკვლავები ბულგარეთში გასტროლზე იმყოფებიან, სადაც საერთაშორისო ფესტივალი „ზალატაია მიჩტა“ ტარდება.

ქართველმა მოცეკვავეებმა მონაწილეობა მიიღეს ფესტივალში და ათასობით კონკურსანტს შორის გამარჯვება და მთავარი ჯილდოს გრანპრის მოპოვება შეძლეს.

საერთაშორისო ფესტივალი ვარნაში ჩატარდა, რომელშიც უამრავი მომღერალი, მოცეკვავე და ანსამბლი იღებდა მონაწილეობას. ბულგარეთის ამ პრესტიჟულ ფესტივალზე ორდღიანი ბრძოლის შემდეგ, უმაღლესი ჯილდო გრანპრი ქართველებს მიანიჭეს.

ფესტივალში მონაწილე სხვა ანსამბლებმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს. გამარჯვებულ ქართველ მოცეკვავეებს კი ფესტივალზე მყოფმა პროდიუსერებმა სხვადასხვა ქვეყნებში კონცერტების გამართვა შესთავაზეს. უმაღლესი ჯილდოს მფლობელმა ქართულმა ანსამბლმა უკვე მიიღო მიწვევა საბერძნეთსა და ლას ვეგასში.

# დოდო რქის მონასტრის გამაგრებითი სამუშაოები დასრულდა

დავით გარეჯის დოდო რქის მონასტრის მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით, კლდეში, დარბაზული ტიპის, ახლად გამოვლენილი სამლოცველოსა და მძიმე მდგომარეობაში არსებული კედლის მხატვრობის გადაუდებელი გამაგრებითი სამუშაოები დასრულებულია. არქეოლოგების ზედამხედველობით სამლოცველო, წლობით დაგროვილი მიწის ფენებისგან სრულად განთავისუფლებულია.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ნაგებობის ბზარ-ნაპრალების სიღრმისეული წმენდა და ინექტირება, მიკრობზარებისა და სხვა დაზიანებების ჰერმეტიზაცია, ბაქნების ჰიდროიზოლაცია და კლდის მასივისა და ეკლესიის ნაშენი ზედაპირების სამჯერადი დამუშავება ნანოტექნოლოგიური ჰიდროფობიზატორით.

წმინდანთა გამოსახულებებით მოხატული სამლოცველო 2015 წლის დასაწყისში გამოვლინდა. სპეციალისტების აზრით, დოდოს რქის დღემდე უცნობი ფრესკები, რომელიც წლების განმავლობაში მიწით დაფარულ, უჰაერო სივრცეში იყო დამალული, კედლის მხატვრობის ნიმუშთა შორის კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, მხატვრობის მდგომარეობა სტაბილურია და დოდო რქის ინტერიერში გამოსახულებების სრული კონსერვაცია მომავალ წელს არის დაგეგმილი.

ეკა ირემაშვილი

## კალეიდოსკოპი

### ყველაზე სექსუალური ვეგეტარიანელი დასახელდა



ორგანიზაცია პეტამ, რომელიც ცხოველების მიმართ ეთიკური მოპყრობისთვის იბრძვის, ამერიკელი მომღერალი მაილი საირუსი მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ვეგეტარიანელად დაასახელა.

22 წლის მომღერალი აირჩიეს ცხოველთა უფლებების დაცვაში მისი ურყევი პოზიციისა და ვეგეტარიანელად გახდომის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე (ვეგეტარიანელები უარს ამბობენ არა მარტო საკვებად ხორცის გამოყენებაზე, არამედ ნებისმიერი ცხოველური წარმომავლობის პროდუქტის მიღებაზე, როგორებიცაა რძე და კვერცხი).

ცხოველთა დამცველებმა ასევე განაცხადეს, რომ მომღერალს ძალიან უყვარს ცხოველები. მას სახლში ჰყავს თავშესაფრიდან აყვანილი რამდენიმე ძაღლი, ასევე გოჭი და კნუტი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

### ავსტრალიის ქალაქი ტარანტულებმა დაიპყრეს



ავსტრალიის ქალაქი მანინგრიდი 25.000-მა ტარანტულმა დაიპყრო. შხამიანი ობობებით აივსო დასახლებული პუნქტის ქუჩები, რომელშიც 2.000 ადამიანი ცხოვრობს.

ჯერჯერობით მეცნიერებს არ შეუძლიათ, პასუხი გასცენ კითხვას, თუ რითია განპირობებული ობობების შემოსევა.

მათი უდიდესი ნაწილი მდინარესთან დაუსახლებელ ადგილზე დაფუძნდა და მათ სანახავად ადამიანები ექსკურსიებსაც კი აწყობენ. ზოგიერთი ადამიანი ობობებს ხელითაც კი ეხებოდა, მაგრამ ტარანტულებს ადამიანი ჯერ არ დაუკბენიათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



1. პატარა სამწახნაგა ხანჯალი; 2. ერთხმიანი საოპერო ნაწარმოები; 3. ჭადრაკის ფიგურა; 4. ვაზების მწკრივი; 5. ჭეშმარიტად; 6. ფრანგი კომპოზიტორი (1842-1912); 7. ვარდობისთვე; 8. მტაცებელი ცხოველი; 9. სამიანი ნარდში; 10. სიუზან ...; 11. გერმანელი ისტორიკოსი (1829-1891); 12. ერთგვარი თოთხმეტტაეპიანი ლექსი; 13. ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 14. ... სამპრასი; 15. ერთგვარი პატარა დივანი; 16. რისამე რთული, მნიშვნელოვანი ისტორია; 17. ჯომოლუნგმა; 18. ნარკოტიკი; 19. წყლის ფრინველი; 20. ჰიგიენური საშუალება; 21. ლიმონმჟავას მარილები; 22. ყაზახეთის ფულის ერთეული; 23. ტექნიკური ხერხი სახვით ხელოვნებაში („დაწებება“); 24. კავკასიის მთიელთა სოფელი; 25. ეპიკური პოეზიისა და ისტორიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 26. ხომალდის განუწყვეტელი ცურვის პერიოდი; 27. ბილიარდის ჯოხი; 28. აჩრდილი; 29. დამუხტული ატომი ან ატომთა ჯგუფი; 30. თალი; 31. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი.

**ობყფ ყჯ3ც3იბ უფ3ჯმდც.ყც,ეჯბ h3ჯცდჯ3ცც,ბც გფცე[ც,ბ5**

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პლებისციტი; 2. ნოველა; 3. სუპორტი; 4. რუმბი; 5. კონსუელო; 6. ებანი; 7. ბენუარი; 9. ბორნეო; 13. კიური; 17. ქისი; 18. მზე.

**თარაზულად:** 1. პაოლინი; 3. სოკარი; 8. კომბლე; 10. ჰესბოლა; 11. დიდრო; 12. მინკუსი; 14. აცტეკა; 15. ქვირითი; 16. ლუქსი; 19. ბერდია; 20. კირთაძე; 21. საცივი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ედისონი; 2. ბუშლატა; 3. ქიზიყი; 4. დურდო; 5. დიფუზორი; 7. ექო; 11. ზარზმა; 15. ერუპცია; 16. ღალატი; 17. ბარჯი; 18. მრუმე; 20. ტიბრი; 22. ხიდი.

**თარაზულად:** 6. დისნეი; 8. ლუტეცია; 9. კარდიფი; 10. სერვიზი; 12. ჯაყვა; 13. ოპიზა; 14. აპერკოტი; 19. ბიუჯეტი; 21. ნავახა; 23. რიალი; 24. უჯრედი; 25. მიტარბი; 26. ვერდილიო.

# ივლიტა ჯიბუტის სახელობის ბიბლიოთეკა მის დაბადების დღეზე გაიხსნება



19 ივლისს ჩოხატაურის რაიონში, მედიასახლ „გურია ნიუსის“ ოფისში სტიქიის დროს დაღუპული ივლიტა ჯიბუტის დაბადების დღეს მისი სახელობის ბიბლიოთეკა გაიხსნება. ბიბლიოთეკის გახსნის იდეა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორ გიორგი კეკელიძეს ეკუთვნის, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც გამოეხმაურა.

ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სხვა უწყებები ბიბლიოთეკას უახლოეს მომავალში მიაწვდიან წიგნებს ბიბლიოთეკის პირველ ეტაპზე ასამუშავებლად. წიგნებს აგროვებენ რიგითი მოქალაქეებიც, რომლებიც ივლიტას სახელობის ბიბლიოთეკას სხვადასხვა გამოცემას საჩუქრად გადასცემენ.

ბიბლიოთეკა ახალგაზრდებისთვის ახალი ლიტერატურის გაცნობის, ინტერნეტრესურსებთან შეუზღუდავი წვდომის, ერთმანეთთან ურთიერთობისა და ახალ ინიციატივებზე მსჯელობის ადგილი იქნება.

# გაიოზ კანდელაკი იუბილარია

თბილისის ბიგ ბენდის ფუძემდებელი და პირველი ჯაზკლუბის დამაარსებელი საქართველოში, გაიოზ კანდელაკი, იუბილარია. მას 70 წელი შეუსრულდა. იუბილე ბიგ ბენდის წევრებმა მას განსაკუთრებულად მიულოცეს. ამბობს, რომ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარული და ის საქმეა, რომელსაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ემსახურება.

საიუბილეო საღამოები არ უყვარს, ამიტომაც უარი თქვა ყველანაირ პომპეზურობაზე და მხოლოდ მეგობრების, ოჯახის წევრებისა და ახლობლების მილოცვებით შემოიფარგლა.

მეტეხის თეატრის დირექტორი, ბარათაშვილის ხიდის ქვეშ არსებული პირველი ჯაზ-კლუბის დამაარსებელი და პრეზიდენტი, ფილარმონიის დირექტორი, „მელოდიის“ დირექტორი, კინომსახიობთა თეატრის დირექტორი, მარჯანიშვილის თეატრის გენერალური დირექტორი, თბილისის ჯაზორკესტრის პროდიუსერი, ორი ღირსების ორდენის მფლობელი და კიდევ არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი იუბილარი დღესაც თავისი საყვარელი საქმით ცოცხლობს.

პირველი ჯაზფესტივალი 36 წლის წინ თანამოაზრეებთან ერთად ჩაატარა, რაც მაშინ ბევრისთვის წარმოუდგენელი იყო, თუმცა ორი წლის



შემდეგ ჯაზფესტივალს როკფესტივალიც დაემატა. ხანმოკლე პაუზის შემდეგ ჯაზფესტივალი განახლდა და იუბილარი ხელოვანის საქმეს დღეს მისი შვილი კახა კანდელაკი თავის მეგობრებთან ერთად უძღვება. დღეს თბილისის ჯაზფესტივალი მსოფლიოს საუკეთესო ჯაზფესტივალების ათეულშია.

— ჯაზი ისეთი რაღაცაა, რომ ამასთან ერთად უნდა გაიზარდო. თუ ბავშვობიდან არ ეზიარე ამას, ისე ვერ ისწავლი. ჩემი შვილები 5 წლიდან დღე და ღამე ჯაზს უსმენდნენ, — ამბობს იუბილარი.

## ცფვუქჯდბფჳჲ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

მეუღლე რევაზ ჯავახიშვილი, შვილები ნინო და თეა, ძმა ნოშრევან სიგუა ოჯახით იუწყებიან

**იამზე (გულიკო) სიგუას**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 28 და 29 ივნისს.
დაკრძალვა: 30 ივნისს, 15 საათზე.
მისამართი: ხვიჩიას 30.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს რევაზ ჯავახიშვილს მეუღლის

**იამზე სიგუას**

გარდაცვალების გამო.

მარიკა, გიგლა, ეკა, გვანცა ჩიქოვანები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და უსამძიმრებენ მწერალს, ლიტერატორს თამარ მიქაძესა და მის ოჯახს შვილის

**ნიკა ისაკაძის**

გარდაცვალების გამო.
ქვეყანამ დაკარგა სახელოვანი წინაპრების, წმინდა დიმიტრი ყიფიანის, გურამ პატარაიას, გივი მიქაძის ლამაზი შთამომავალი და ერის გენოფონდის ძვირფასი ნაწილი.

მეუღლე ლუბა, შვილები დიანა და შორენა, შვილიშვილები ნათია და გოგა ჯახიები, ვიქტორ და გიორგი დიდიშვილები, შვილთაშვილები ლუკა, ნიკოლოზ და მარიამ გახარიები, სიძეები რაულ ჯახია, თამაზ დიდიშვილი და დანიელ გახარია ღრმა მწუხარებით იუწყებიან ომისა და შრომის ვეტერანის, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერის

**ჟორჟი ლევანის ძე ბუკიას**

გარდაცვალებას.
სამოქალაქო პანაშვიდი: 30 ივნისსა და 1 ივლისს;
დაკრძალვა: 2 ივლისს;
მის: ხობი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, №15.

**ცფვუქჯდბფჳჲ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ჳბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7 რდბჰბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

# პრემია დურუჯმა“ მოკლე ნუსხა გამოაქვეყნა

2015 წლის პრემია „დურუჯზე“ წარდგენილ კანდიდატთა მოკლე ნუსხა ცნობილია. საქველმოქმედო ფონდ „ცისკრის“ მიერ დაწესებული პირველი დამოუკიდებელი თეატრალური პრემია „დურუჯი“ უკვე მეშვიდედ გაიცემა. წელს საბუთების წარდგენის ვადა 8 მაისს ამოიწურა. სულ შემოტანილ იქნა 22 თეატრის 37 განაცხადი.

5 წევრისგან შემდგარი ჟიური ნომინირებულ სპექტაკლებს რამდენიმე კვირის განმავლობაში აფასებდა. ჟიურიმ თითოეულ ნომინაციაზე კანდიდატთა მოკლე ნუსხა უკვე შეადგინა. პრემიის ლაურეატების გამოსავლენად კი საბოლოო ფარული კენჭისყრა ჟიურის წევრებს შორის დაჯილდოების დღეს, ღონისძიებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩატარდება. გამარჯვებულების ვინაობა სადღესასწაულო ცერემონიაზე გახდება ცნობილი, რომელიც შემოდგომაზე ყვარელში, მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმში გაიმართება.

„დურუჯი“ 2014-2015 გაიცემა შემდეგი ნომინაციებისთვის: საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი — პრემიის ოდენობა შეადგენს 14.000 ლარს; საუკეთესო მსახიობი ქალი — პრემიის ოდენობა შეადგენს 2.000 ლარს; საუკეთესო მსახიობი მამაკაცი — პრემიის ოდენობა შეადგენს 2.000 ლარს; სეზონის განმავლობაში დადგმული საუკეთესო თანამედროვე ქართული პიესის ავტორი — პრემიის ოდენობა შეადგენს 2.000 ლარს; საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი — გადაეცემა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი 10.000 ლარის ოდენობით. ამ ნომინაციაზე წარდგენილი რეჟისორის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს.

— როგორც ყოველთვის, დაჯილდოების ცერემონიასა და საბოლოო გამარჯვებულების გამოვლენას განსაკუთრებული მოუთმენლობით ელიან თეატრალური სფეროს წარმომადგენლები — დაძაბულობა და ინტერესი პიკს აღწევს. სასიხარულოა, რომ „დურუჯი“ კვლავაც ინარჩუნებს თეატრალურ სფეროში დაწესებული ყველაზე პრესტიჟული კერძო პრემიის სახელს. დარწმუნებული ვარ, როგორც ყოველთვის, ჩვენი კომპეტენტური ჟიური ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს და პრემიის ლაურეატის წოდებას ღირსეულ კანდიდატებს მიანიჭებს, — აცხადებს პრემიის დამფუძნებელი ლაშა პაპაშვილი.

რაც შეეხება მოკლე ნუსხას, ჟიურის გადაწყვეტილებით, ის ასე გამოიყურება: საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი: რობერტ სტურუა „ასულნი“, შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; დავით დოიაშვილი „ფსკერზე“, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; ლევან წულაძე „შეშლილის წერილები“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; ბესიკ კუპრეიშვილი „თამაში მაგიდასთან“, თითების თეატრი; ანდრო ენუქიძე „მაკბეტი“, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი: ნიკოლოზ საბაშვილი „1945“, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სოსო ბაკურაძე „მატარებელი მოდის“, მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; ანი ხიდაშელი „თავისუფალი პეპლები“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

საუკეთესო მსახიობი მამაკაცი: გოგა გველესიანი „ფსკერზე“, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; ონისე ონიანი „თამაში მაგიდასთან“, თითების თეატრი; ვანო იანტბელიძე „ვინ გატეხა ქოთანი“, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; მერაბ კაკალია „დაბრუნება“, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი; კოკო როინიშვილი „თავისუფალი პეპლები“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

საუკეთესო მსახიობი ქალი: მარინა კახიანი „ასულნი“, შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; ანა სანაია „1945“, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი; ნანა ბუთხუზი „ფსკერზე“, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; ბუბა გოგორიშვილი „ფსკერზე“, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; ნიარა ჭიჭინაძე „კალიგულა“, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი.

სეზონის განმავლობაში დადგმული საუკეთესო თანამედროვე ქართული პიესის ავტორი: თამარ ბართაია „კაბა და სარკე“, გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი; ოთარ ქათამაძე, პაატა ციკოლია „კალიგულა“, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; ლაშა თაბუკაშვილი „ათვინიერებენ მიმინოს“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

გამარჯვებულები შემოდგომაზე ყვარელში, მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმში გამოვლინდებიან და მათ ფულად პრემიებთან ერთად ირაკლი წულაძის მიერ დამზადებული სპეციალური ქანდაკებები გადაეცემათ.

# ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ აღდგენილია



ორწლიანი პაუზის შემდეგ სპექტაკლი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ აღდგენილია. ის სცენას მხოლოდ ერთი დღით დაუბრუნდა. წარმოდგენა კინომსახიობთა თეატრის ნაცვლად რუსთაველის თეატრში გათამაშდება.

წელს სპექტაკლის იუბილეა. მისი დადგმიდან ზუსტად 20 წელი გავიდა. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრთან ერთად ერთობლივ პროექტს ახორციელებს — საქველმოქმედო სპექტაკლი 30 ივნისს სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად იქნება წარმოდგენილი.

რაფიელ ერისთავის პიესის მიხედვით დადგმული „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ ორმოქმედებიანი ვოდევილია, რომლის რეჟისორიც გოგი მარგველაშვილია, კომპოზიტორი — ნინო ჯანჯღავა, მხატვარი — ნინო ჩიტაიშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ გია აბესალაშვილი, ეკა ანდრონიკაშვილი, ქეთი ასათიანი, ზურაბ გეწაძე, ირინა გიუნაშვილი, ვანო თარხნიშვილი, გუგა კახიანი, ნანუკა ლითანიშვილი, გოგა პიპინაშვილი, გიორგი ყიფშიძე, ნინო ჩხეიძე და ნინელი ჭანკვეტაძე. ვოდევილი გამოირჩევა არაჩვეულებრივი სამსახიობო ანსამბლით, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია გოგა პიპინაშვილისა და ნინელი ჭანკვეტაძის მიერ შექმნილი ოსეფასა და ელისაბედის დაუვიწყარი სახეები.

— გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა სრულად გადაირიცხება 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად გახსნილ ანგარიშზე. ფართო საზოგადოებასა და განსაკუთრებით თეატრის ერთგულ მაყურებელს მოგიწოდებთ, გავერთიანდეთ დაზარალებულთა დასახმარებლად. შეიძინეთ ბილეთები სპექტაკლზე და ამ ფორმითაც გამოხატეთ სოლიდარობა და თანადგომა დაზარალებულების მიმართ, — ნათქვამია კინომსახიობთა თეატრის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი და სპექტაკლის „მაცეკვე ტანგოს“ მთელი შემოქმედებითი ჯგუფის სურვილით კომედიის ფესტივალზე ჯილდოდ მიღებული მთლიანი თანხა გადაირიცხება 13 ივნისს სტიქიის დროს დაზარალებულთათვის სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე. დაზარალებულთა დასახმარებლად გადაირიცხება თანხა თეატრის სეზონის დახურვის დღეს ნათამაშები სპექტაკლიდან „ბაკულას ღორები“.

# მეზო ნუცუბიძე სტიქიით დაზარალებულების დასახმარებლად იმღერებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჩვენს კონცერტზე გელით ბევრი მუსიკალური სიახლე და სხვა სიურპრიზი. ერთად გავატაროთ კარგი საღამო და თან გავაკეთოთ ძალიან კარგი საქმე!

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მეზო ნუცუბიძე სტიქიით დაზარალებულების დასახმარებლად კონცერტს მართავს. მომღერალმა უკვე ჩაატარა საქველმოქმედო საღამო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გამართული კონცერტი ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს თბილისის ციფრული ფრანკოფონული კამპუსის ორგანიზებით მოეწყო. კონცერტზე დასწრება თავისუფალი იყო, დარბაზში იდგა ყუთები, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო თანხის ჩაგდება. შემოსული თანხა მთლიანად სტიქიით დაზარალებულთა ანგარიშზე გადაირიცხა.

*რუბრიკა მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# TV პროგრამა

**ორშაბათი**
**29 ივნისი**

**08.00** დ/ფ "ოდისეები" **08.30** ან./ფ "ზუ" "მანონი" **09.30** "სადილის დრო" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.20** ტ/სერ **"ჩენტო ვეტრინე"** **11.20** "საუკუნის პორტრეტები" **12.30** მხ/ფ **"ოდრი ფეპბერნის თავგადასავალი"** **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **21.00** ტ/სერ **"ევას სამი ვარდი"** **22.00** "არენა" **23.30** მხ/ფ **"კონკორდი 79"** (ა.დელონი) **01.30** მხ/ფ **"ჩემი გულის სალბუნი"**

**08.00** დ/ფ "გაზაფხული დაკვირვებების ქვეშ" **09.00, 11.00** მხ/ფ **"დედმამიშვილები"** **1-2** სერ. **10.30** დ/ფ "ფლორენცია-ტოსკანა" **12.30** დ/ფ "ტაილანდი" **13.00** "აფხაზეთი" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 17.00, 21.00, 22.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენებზე) **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.50** სერ. **"ივნისის ღამე"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50,** ქრონიკა **10.05** სერ. **"კარმა"** **11.20** სერ. **"ბოშა ქალი"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"გზაჯვარედინი"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** მხ/ფ **"ნონ-სტოპი"** **00.15** მხ/ფ **"დიდი ქორწილი"** **02.00** მხ/ფ **"ბინძური თამაშები"** (რ. რედფორდი)

**06.30, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** X-ფაქტორი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია "ნიქოზელის სამწყსო ჩრდილოეთ კავკასიაში " **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.10** მხ/ფ **"ენი ნწვანე სახურავების მამულიდან"** X I **07.45** თვენი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ვედრება"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი "ასერგასის დღე" **17.05** დეკორატიული ფლორა "იასამანი" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"იავნანა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი **21.35** ღვთის სახლი **21.50** ჩვენი ამბავი **22.25** დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-ბოლნისი **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **22.50** მუს.პაუზა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ.ფილმი **00.25** სათავეებთან **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"სონიკ იქსი"** **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** **12.30, 18.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "ნარჩიტა"** **19.00 სერიალი "სახლი შროშანებით"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.00 სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"**

გპჯუპფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯპფდპბც4 ყტ,ფპსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 ივნისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2477

ევრო — 2.5179

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5372

100 რუსული რუბლი 4.0845

## ამინდის პროგნოზი 29 ივნისისთვის




## კალეიდოსკოპი



### ყველაზე მახინჯ ძაღლად კვაზიმოდო აღიარეს



ამერიკის კალიფორნიის შტატში მსოფლიოს ყველაზე მახინჯი ძაღლის გამოსავლენად კონკურსი ჩატარდა.

კონკურსის გამარჯვებული გახდა 10 წლის მეტისი პიტბულისა და ჰოლანდიური ნაგაზის ნაჯვარი, სახელად კვაზიმოდო. ძაღლმა, რომელსაც ხერხემლის დეფექტები აქვს, 25 კონკურენტს აჯობა და თავის პატრონს 1,5 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

კვაზიმოდო ცხოველთა თავშესაფარში ცხოვრობდა, სანამ მას ფლორიდელი ვეტერინარი აიყვანდა.

კონკურსში მეორე და მესამე ადგილები ერთი ჯიშის ძაღლებს ერგოთ, ჩინური ხოხლეტისა და ჩიხუახუას მეტისებს — რემბოსა და ფროდოს.

შოუ ქალაქ პეტალუმას ბაზრობაზე 27-დ გაიმართა. გასულ წელს კონკურსის გამარჯვებული ორი წლის ჩიხუახუასა და ში-ტცუს მეტისი პინატი გახდა.

### დათვმა სტუდენტური საღამო ჩაშალა

ამერიკის პენსილვანიის შტატის ლიხაის უნივერსიტეტის კამპუსის მახლობლად გამართული სტუდენტური საღამო დათვმა ჩაშალა.



შავი დათვი, რომლის წონაც 150 კილოგრამს აღემატებოდა, კამპუსის მახლობლად გამოჩნდა, რომელიც ფილადელფიიდან ჩრდილოეთით 50 მილის მანძილზე მდებარეობს. შერიფის მარკ დილუციოს თქმით, დათვის გამოჩენამ საყოველთაო პანიკა გამოიწვია, რომელსაც 911-ზე გამოძახების ქარიშხალი მოჰყვა.

იგივე დათვი ერთი დღით ადრე უნივერსიტეტის არენის მახლობლად შენიშნეს, მაგრამ მაშინ მან მოასწრო და დაჭაობებულ ადგილს შეაფარა თავი. ამჯერად კი ცხოველი ტრანკვილიზატორის დახმარებით დააძინეს და ცხოველთა თავშესაფარში გადაიყვანეს. ახლა იმაზე მსჯელობენ, თუ სად გაუშვან გარეული ცხოველი.

### მამალი გორილა იაპონელ ქალებში პოპულარობით სარგებლობს



მამალი გორილა, სახელად შაბანი, ზოოპარკის დამთვალიერებელთა საყვარელ ბინადრად იქცა. მისით აღფრთოვანებული ქალების წყალობით გორილა სოციალური ქსელების ვარსკვლავია. ინტერნეტის მომხმარებლებმა შაბანი „მსოფლიოს ყველაზე ლამაზ გორილად“ დაასახელეს,

გორილამ იაპონიის ზოოპარკში 2007 წელს დაიდო ბინა, თუმცა ზოოპარკის დამთვალიერებელმა სუსტი სქესის წარმომადგენლებმა მას ყურადღება მხოლოდ ახლახან მიაქციეს. ახალგაზრდა იაპონელმა გოგონებმა სოციალურ ქსელში ცხოველის ვირტუალური ფანკლუბი შექმნეს, სადაც მის სურათებსა და შესაბამის კომენტარებს ავრცელებენ.

შაბანის კარგად განვითარებული კუნთები და მშვენიერი მუქი ფერის ბეწვი აქვს. ქალებმა შენიშნეს, რომ გორილას ფოტოგენური პოზების დაჭერა შეუძლია და ჩაფიქრების გამოსახვა უყვარს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მებო ნუცუბიძე სტიქიით დაზარალებულების დასახმარებლად იმღერებს

ეკა ირემაშვილი



ქართული „იქს ფაქტორისა“ და უკრაინული „ვოისის“ მონაწილე მებო ნუცუბიძე 30 ივნისს თავის ჯგუფთან ერთად თბილისის სტიქიის დროს დაზარალებულებისთვის კონცერტს გამართავს.

**მებო ნუცუბიძე:**

— 30 ივნისს, ვისაც თან კარგი საქმის გაკეთება და თან კარგი მუსიკის მოსმენა გსურთ, მოდით ჩვენს კონცერტზე. საქველმოქმედო კონცერტის გაკეთება გადავწყვიტეთ. ჩვენთვის, მუსიკოსებისთვის, ეს საუკეთესო საშუალებაა სამოქალაქო პოზიციის დაფიქსირებისა: ჩვენ ბოლომდე გვერდში ვუდგავართ 13 ივნისის წყალდიდობით დაზარალებულ ადამიანებს და, იმედი გვაქვს, რომ მცირედ თანხას მაინც შევაგროვებთ მათ დასახმარებლად. გარდა ამისა, ეს იქნება ჩვენი ლაივში მოსმენის კარგი შანსი. დავუკრავთ უფრო დიდ პროგრამას, ვიდრე ოფენ ეარზე, რომელზეც 7 ივლისს ვუკრავთ.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# 30 ივნისიდან!

## „ახალ თაობასთან“ ერთად

მაია ბურჭულაძე

## მკაცრი რეჟიმის სასახლე

### ქართული დეტექტივის მე-10 ტომი




## საქართველო პირველი ევროპული თამაშებიდან 2 ოქროთი ბრუნდება

ბაქოში დასრულებულ პირველ ევროპულ თამაშებზე საქართველოს დელეგაციამ 2 ოქროს, 6 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

პირველი ქართული ოქროს მედალი ძიუდოისტმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა მოიპოვა. ქართველებმა ოქრო ბაქოში 14 დღე ალოდინეს და ყულაბაში მეცამეტე მედლად შევიდა. საქართველოსთვის რიცხვი 13 თარსი არ გამოდგა.

ქართული სპორტის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა 81 კილოგრამ წონითი კატეგორიის



ფინალში შთამბეჭდავად დაამარცხა რუსი ივან ნიფონტოვი. ქართველმა ძიუდოისტმა თავისი სანახაობრივი, შემტევი სტილით სრულიად გააბათილა და გადაფარა ის შეცდომა, რომელიც დასაწყისში დაუშვა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტყუილად არ უღიარებიათ წინა წლის ევროპის საუკეთესო ძიუდოისტად.

ავთომ, მეთექვსმეტედფინალიდან მოყოლებული, ზედიზედ სუფთად დაამარცხა ბულგარელი ივაილო ივანოვი, ესტონელი ევგენი სალეიევი, ბელორუსი ალექსანდრ სციაშენკა და გერმანელი სვენ მარეხი...

მძიმე წონაში ადამ ოქრუაშვილმა ფინალში სუფთად მოუგო ისრაელის წარმომადგენელ ორ სასონს, მანამდე კი მერვედფინალში პოლონელი მაცეი სარნაცკი იპონით დაამარცხა, შემდეგ მატიაშვილს მოუგო, ნახევარფინალში ლიტველ მარიუს პასკევიჩუსს ისევ იპონით აჯობა და ბოლოს ფინალშიც იყოჩაღა.

ვერცხლი მოიპოვა საქართველომ ძიუდოისტთა გუნდურ შეჯიბრებაში. გუნდური პირველობა საქართველოს ნაკრებმა ჩეხეთთან ბრძოლით დაიწყო. პირველად ტატამზე ამირან პაპინაშვილი და პაველ პეტრიკოვი გავიდნენ. ქართველმა გაფრთხილებებით მოიგო და ტატამი ლაშა შავდათუაშვილსა და იაკუბ იეჩმინეკს დაუთმეს. ჩეხმა ვერ გაუძლო ქართველის შეტევებს, 4-ჯერ გააფრთხილეს და 2:0 ჩვენების სასარგებლოდ.

ავთანდილ ჭრიკიშვილის მეტოქე იარომირ მუსილი თავიდან გაფრთხილებით იგებდა, თუმცა ჩვენებურმა ჯერ გაათანაბრა, შემდეგ გაზარიც მიაყოლა და საქართველოს გუნდური მოგება დაუბევა — 3:0.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## კროსვორდი

**თარაზულად:** 3. სამკურნალო საცხი; 8. თხევადი წამლის ჩასაწვეთებელი მილაკი; 9. ძველრომაული სამართლის კომენტატორ-იურისტი; 11. ფულადი ჯილდო; 12. მეკობრე; 14. ადამიანის ხასიათი, ტემპერამენტი; 15. სურნელოვანი წიწაკა; 20. რისამე ზღვრული რაოდენობა; 22. უბედურებებით სავსე ყუთის მფლობელი ქალი ბერძნულ მითოლოგიაში; 23. ტროპიკული ხილი; 24. ქიმიური ელემენტი; 25. ინდოელი ქალის კაბა; 26. დამოკიდებული სახელმწიფო; 27. ქიმიური ელემენტი.

**შვეულად:** 1. ცომისებური ნივთიერება; 2. ორგანული ნაერთი, რომელსაც ქვანახშირი შეიცავს; 4. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 5. კატარღა; 6. შხამი, რომელსაც თამბაქო შეიცავს; 7. ჯუჯა, ქონდრისკაცი; 10. უქოჩრო თუთიყუში; 12. წესრიგის დამცველ პოლიციელთა რაზმი; 13. შამილის შექმნილი სახელმწიფო; 16. ლიტერატურის სახეობა; 17. ცხვირისატეხელა (სამკურნალო მცენარე); 18. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 19. მოჩვენებითი რამ; 21. გაზაფხულის თვე.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



## იუმორი



•••

ბიჭი გოგონას მობილურზე მესიჯს უგზავნის:

— ტელეფონი ჩემთან დაგრჩა და არ ინერვიულო.

•••

ორი ნაცნობი სუპერმარკეტში შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— აქ რას აკეთებ?

— ცოლი დამეკარგა ვეძებ. შენ რაღას აკეთებ?

— მეც ცოლი დამეკარგა და ვეძებ.

— შენი ცოლი როგორ გამოიყურება?

— მაღალი, შავთვალება, აშოლტილი ფეხებით, დიდი მკერდით...

— იცი, რას გეტყვი, ჩემი ცოლის მოძებნას შევეშვათ და შენი მოვძებნოთ...

•••

ქართველი, რუსი და ამერიკელი ერთმანეთს წყალში ყვინთვაში ეჯიბრებიან. ჩაყვინთავს ამერიკელი. 3 წუთს გაძლებს. ეკითხებიან:

— ეს როგორ მოახერხეთ?

— ჩემი დევიზია ვარჯიში, ვარჯიში.

ჩაყვინთავს რუსი და 8 წუთს გაძლებს წყალქვეშ. გაოცებული ხალხი ეკითხება:

— ეს როგორ მოახერხეთ?

— ჩემი დევიზია ვარჯიში, ვარჯიში და ვარჯიში.

ჩაყვინთავს ქართველი და არ ამოდის. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი. ბოლოს ამოყვინთა. გაოგნებული თვითმხილველები ეკითხებიან:

— ეს როგორ მოახერხეთ? ალბათ, თქვენი დევიზიც ვარჯიშია.

— არა, რა დევიზი, ეს შობელძაღლი ტრუსიკი გამოედო რაღაცას და...

•••

მაღაზიაში შესული კაცი კითხულობს:

— ფერადი ტელევიზორები გაქვთ?

— რა თქმა უნდა.

— მაშინ მწვანე მომეცით.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

— გავიგე, ცოლი მოგიყვანია, გილოცავ!

— მადლობა.

— რა ჰქვია?

— რექსონა დავარქვი, არასოდეს მიღალატებს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა